ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 5 დეკემბერი, 2022 №239 (9017) ფასი: 80 თეთრი

თბილისში ბინის ქურდები დაძრწიან

გარყვნილ მასწავლებელს 8-წლიანი ციხე მიესაჯა

გვ.5

„პუტინს საერთოდ არ სცხელა სააკაშვილისთვის, ივანიშვილს აქვს სააკაშვილთან გასასწორებელი ანგარიშები“

პაატა ზაქარეიშვილი: „უკრაინის გამარჯვების შემდეგ შეუდგება წყალი „ქართული ოცნების“ მმართველობას“

გვ.2

სოსო ცინცაძე: „ხელისუფლებას ყველა შემთხვევაში მოუწევს რაღაც დონის გადაწყვეტილების მიღება და ეს, არა მგონია, მიბმული იყოს ევროკავშირთან“

„სასამართლოზე გამოჩნდება, რა გადაწყვიტა „ოცნებამ“ სააკაშვილის მიმართ“

გვ.3

„სააკაშვილს მოექცნენ ისე, როგორც ყველაზე ბნელი და ტოტალიტარული სამყარო იქცევა“

გვ.3

შოთა მალაშხია: „საქართველოში არც ომი და არც მეორე ფრონტის გახსნა არავის არ უნდა“

„ნაცები „ოცნებასთან“ უნდა დაზავდნენ და მერე გადაეცემათ სააკაშვილი“

გვ.2

იაგო ხვიჩია: „სწრაფად არის მოსაძებნი გამოსავალი ამ ჩიხური სიტუაციიდან, რადგან ის ყველასათვის სახიფათოა, პირველ რიგში კი – სააკაშვილისთვის“

ჯონდი ბაღათურია: „ნაციონალებში ყველა ჯიბის გასასქელებლად არის“

გვ.4

რამდენი სარჩელი შევიდა სასამართლოში კრიტიკული მედიის წინააღმდეგ მიმდინარე წელს

გვ.5

3 რუსეთში სტალინს მისტირიან

5 ხობში 23 წლის ბიჭმა მამის საფლავზე, სავარაუდოდ, თავი ჩამოიხრჩო

7 თბილისის დინამო საქართველოს ჩემპიონი მეცხრამეტედ გახდა

4 რუსულ ნავთობზე ზღვრული ფასები დაწესდა

1993230720223

„ნაცები „ოცნებასთან“ უნდა დაზავდნენ და მერე გადაეცემათ სააკაშვილი“

იაგო ხვიჩია: „სწრაფად არის მოსაძებნი გამოსავალი ამ ჩიხური სიტუაციიდან, რადგან ის ყველასათვის სახიფათოა, პირველ რიგში კი – სააკაშვილისთვის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის დეპუტატი იაგო ხვიჩია პასუხობს.

– ბატონო იაგო, სამედიცინო დასკვნა დაიდო სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ის ძალიან მძიმეა. თქვენ განაცხადეთ, რომ ეს 300– გვერდიანი დასკვნები ცოტა დამაბნეველია. რა ხდება, რის თქმა შეგიძლიათ, რამდენად რთულადაა სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა?

– მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა რამდენად რთულად არის, ამის შესახებ ინფორმაცია არ გამაჩნია. მე მჯერა, რომ სააკაშვილი კარგად ნამდვილად არ არის. იმის თქმა მინდა, რომ უბრალოდ ჯანდაცვის არგუმენტი საკმარისი არ არის მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადასაყვანად. ამიტომ მოვუწოდებდი მის კოლეგებსა და თანამებრძოლებს, უფრო მეტი გააკეთონ ამ მიმართულებით, თორემ სამედიცინო დასკვნების ფურცლების რაოდენობა, ჩემი აზრით, არ არის გადამწყვეტი. ჩვენ ვიცით ისედაც, რომ სააკაშვილი კარგად არ არის, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ხელისუფლებისთვის, რომ სააკაშვილი გაეთავისუფლებინა.

– კიდევ რა არის საჭირო?

– საჭიროა ამ თემის პოლიტიკაში გადმოტანა და ღიად პოლიტიკური ვაჭრობის დაწყება იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანის სანაცვლოდ დამთავრდეს ეს პოლიტიკური დაუსრულებელი ბრძოლა ნაცებსა და ქოცებს შორის, რაღაცნაირად შერიგდნენ, ან ერთმა აღიაროს დამარცხება, რაღაც მოხდეს ისეთი, რომლითაც ეს დაპირისპირება დამთავრდება. როცა ეს დაპირისპირება დამთავრდება, სააკაშვილიც ალბათ მას შემდეგ გამოვა ციხიდან.

– სააკაშვილის მომხრეებმა აქცია გამართეს და ხელისუფლებას მისი გათავისუფლება მოსთხოვეს. ამ გზით რამდენად მიაღწევენ შედეგს?

„სააკაშვილი, სამწუხაროდ, ციხეში ზის უმრავლესობის ლოცვა-კურთხევით, ანუ ხალხის სურვილია, რომ ციხეში იჯდეს“

– აქციებით შედეგის მიღწევა ცოტა რთული მეჩვენება. მაშინ სხვანაირი აქციაა საჭირო. ამიტომ აქციებით სააკაშვილის გათავისუფლება არ უნდა იყოს მიზანი. მიზანი უნდა იყოს სააკაშვილის გათავისუფლება დაპირისპირების დამთავრებით.

– თავად პარტია ნაციონალურ მოძრაობაშია სერიოზული დაპირისპირება და ვინმეს სჯერა, რომ ხელისუფლებასთან დაპირისპირების დასრულებას შეძლებენ?

– ჩემი აზრით, ხელისუფლებასთან დაპირისპირების დასრულება შეგიძლია, თუკი ეს გინდა. როდესაც ლიდერი ციხეში გყავს და ხვდები, რომ დაპირისპირებით ვერ გამოგყავს, იქნებ ამ ბრძოლის დასრულებით მაინც გამოიყვანო.

– ანუ მხარეებს პოლიტიკურ გარიგებას სთავაზობთ?

– პოლიტიკურ გარიგებაში ცუდი არაფერია. ვფიქრობ, აქამდეც უნდა ყოფილიყო ასეთი პოლიტიკური გარიგება შეთავაზებული და მაგიდაზე დადებული. ჩვენ ახლა პოლიტიკური გარიგებები და შეთანხმებები გვჭირდება იმისთვის, რომ 12– პუნქტიანი გეგმა სათანადოდ შევასრულოთ. თუ ვერაფერზე ვერ ვთანხმდებით და არაფერზე კონსენსუსი არა გვაქვს, ყველა წავაგებთ და არაფერიც არ შესრულდება.

– მაინც რა უნდა გააკეთოს ნაციონალურმა მოძრაობამ, რას სთავაზობთ, რით უნდა მოიგონ ხელისუფლების გული?

– მე არა მაქვს ამის მზა რეცეპტი, მაგრამ, როცა რამეს აკეთებ და იმას არანაირი შედეგი არ მოჰყვება, ეს სხვანაირად უნდა გააკეთო, სხვა გზა უნდა აირჩიო. დროა მორჩეს თავის მოტყუებას ნაციონალური მოძრაობა და რეალური საქმე გააკეთოს.

– თავად ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებზე რას ფიქრობთ, უშველის ამ პარტიას თავმჯდომარის შეცვლა?

– არ ვიცი, რა შედეგს მისცემთ თავმჯდომარის შეცვლა და ამ შეცვლის შედეგად რა კონფიგურაცია იქნება. სიმართლე გითხრათ, მე არა ვარ მაინცდამაინც ოპტიმისტურად განწყობილი, რომ თავმჯდომარის შეცვლა ან იმავე თავმჯდომარის დარჩენა რამეს გამოასწორებს, იქიდან გამომდინარე, რომ ნაცმოძრაობას ახლა სჭირდება ახალი იდეა და ჯერჯერობით ამის ნიშანი არა ჩანს.

– თუკი ეს დაზავება ვერ მოხერხდა ნაციონალურ მოძრაობასა და ხელისუფლებას შორის, რა იქნება, ისე სააკაშვილს არ გაუშვებს „ოცნება“?

– დღეს სააკაშვილი თავისი საკუთარი პარტიის მძევალიც არის.

– რატომ არის პარტიის მძევალი?

– პარტიის მძევალია იმიტომ, რომ ამ პარტიას, ერთადერთი, რაც აქვს გამაერთიანებელი – ეს არის მიხეილ სააკაშვილი. მიხეილ სააკაშვილის გარეშე ამ ხალხს ერთმანეთთან არაფერი არა აქვს საერთო და, შესაბამისად, ეს პარტიაც არ იარსებებს. ნაციონალური მოძრაობა – იდეა უკავშირდება მიხეილ სააკაშვილს. შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილის ციხეში ყოფნა იმიტომ აწყობს იმას, ვისაც აწყობს, რომ მიხეილ სააკაშვილი ამ პარტიასთან არის ასოცირებული. მიხეილ სააკაშვილი და ნაცმოძრაობა არიან მტრის ხატის როლის საუკეთესო შემსრულებლები ხელისუფლების ხელში. მტერი დაიჭირეს ბრძოლის დროს და ახლა ხომ არ გამოუშვებენ. ჯერ ბრძოლა უნდა დამთავრდეს, ტყვეების გაცვლა ისე არ ხდება. მაშინ, როდესაც ბრძოლა გაქვს გაჩაღებული, შენი გენერალი კი დაჭერილი ჰყავთ და შენ ამბობ, გამოუშვით ჩემი გენერალიო, ეს არ გამოიყურება სწორ ტაქტიკად. ნაცმოძრაობამ ან ძალით უნდა გამოიხსნას საკუთარი დატყვევებული გენერლები და მთავარსარდლობა ციხიდან, ან უნდა დაზავდეს მოწინააღმდეგესთან და ზავის პირობებში გაითვალისწინოს ტყვეების გაცვლა-გამოცვლა.

– ბოლო პერიოდში სააკაშვილი ცდილობს, გაემიჯნოს პოლიტიკას და მხოლოდ საკუთარ ჯანმრთელობაზე აპელირებს. არ თმობს პარტია, არ ანებებს თავს?

– სწორედ ამიტომ არის საჭირო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომ ამ მოჯადოებულ წრეს თავი დააღწიონ. ამბობენ, რომ სააკაშვილი პოლიტიკაში აღარ არის. ამას „ქართული ოცნება“ არ იჯერებს და მუდმივად ამ წრეზე ტრიალებენ. როგორმე ამ ნარატივიდან უნდა გამოვიდნენ. ამწუთას სააკაშვილი, სამწუხაროდ, ციხეში ზის უმრავლესობის ლოცვა-კურთხევით, ანუ ადამიანების სურვილია, რომ სააკაშვილი ციხეში იჯდეს. ამიტომაც გამოსდის ხელისუფლებას მისი ციხეში ჩასმა. რაღაცნაირად უნდა შეიცვალოს ეს მოცემულობა. ადამიანებს აღარ უნდა მოუნდეთ მისი ციხეში ჯდომა. ამისთვის კი რამე უნდა მოხდეს – ან უნდა მოინანიოს, შეიმეცნოს, ან დადასტურდეს, რომ უსამართლო პატიმარია. რაღაცა უნდა მოხდეს იმისთვის, რომ ეს ფაქტორი შეიცვალოს. ვინ, თუ არა ნაციონალურმა მოძრაობამ და მიხეილ სააკაშვილმა უნდა გააკეთონ რამე ამის შესაცვლელად. სწრაფად არის გამოსავალი მოსაძებნი ამ ჩიხური სიტუაციიდან, რადგან ის ყველასათვის სახიფათოა, პირველ რიგში კი – სააკაშვილისთვის.

„პუტინს საერთოდ არ სცხელა სააკაშვილისთვის, ივანიშვილს აქვს სააკაშვილთან გასასწორებელი ანგარიშები“

პაატა ზაქარეიშვილი: „უკრაინის გამარჯვების შემდეგ შეუდგება წყალი „ქართული ოცნების“ მმართველობას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი— კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, გასული კვირის ბოლოს მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო დასკვნა გამოქვეყნდა. საკმაოდ მძიმე დაავადებებზეა საუბარი. ნაციონალურმა მოძრაობამ მისი გათავისუფლების მოთხოვნით აქცია გამართა. რას ელით? ხელისუფლების განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, სააკაშვილის გაშვებას არ აპირებენ. რას იტყვით თქვენ, რამდენად საგანგაშოა მესამე პრეზიდენტის მდგომარეობა და რა პოზიცია აქვს ხელისუფლებას?

– რა თქმა უნდა, აშკარაა და ყველა მონაცემით ჩანს უკვე, ეჭვი არ არის არანაირი, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულ ზღვარზეა. სააკაშვილს დროულად უნდა ეშველოს. ლეტალური შედეგი თუ არა, სამუდამოდ ინვალიდი მაინც დარჩება. აი, ამ ზომაზეა დღეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, თუ უარესი არა. ამ ფონზე კი ხელისუფლების დამოკიდებულება არის რაღაც შუა საუკუნის დონის, რაღაც ცინიკური და ლაჩრული დამოკიდებულება, როგორ უსწორდებიან და უმკლავდებიან მოწინააღმდეგეს. როცა არსებობს ამდენი დასკვნა ექიმებისა, მე არა მაქვს უფლება, ექიმებსა და ექსპერტებს არ დავუჯერო. აშკარაა, რომ ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აქვს.

იულიუს კეისარმა შეიპყრო მოწინააღმდეგის ბელადი და კი არ მოკლა, საქვეყნოდ დასაჯა. ზუსტად ასე ექცევა „ქართული ოცნება“ მიხეილ სააკაშვილს. გამაოგნებელია, 21-ე საუკუნეში ამ ფორმით ხდებოდეს მოწინააღმდეგესთან გასწორება. როცა კაცი ციხეში გყავს, გყავდეს რა ნორმალურად. ყველა პატიმარი თანასწორიაო. სააკაშვილის შემთხვევაში ასე არ არის. ის ყველაზე ცუდ პირობებშია. მე აქამდე ვფიქრობდი, რომ მისი მკურნალობა შესაძლებელი იყო საქართველოში, მაგრამ, რადგან ექიმები ამბობენ, რომ კრიტიკულ მდგომარეობაშია, მის გაყვანაზეც ვიქნებოდი თანახმა.

– ანუ ხელისუფლება თავისი ამომრჩევლის გულის მოსაგებად სააკაშვილს ასე მიზანმიმართულად სჯის?

– დიახ, ეს აშკარად დასჯაა. სააკაშვილი რომ უკვე ამდენი თვეა საავადმყოფოშია და მისი მდგომარეობა კი არ უმჯობესდება, არამედ უარესდება, ეს საგანგაშოა. საშუალო სიმძიმის ავადმყოფი შეუძლებელია ამდენ ხანს იყოს საავადმყოფოში.

– ირაკლი კობახიძე აცხადებს, სიმულანტობსო.

– კობახიძეს უნდა უთხრან, რომ ის არის პოლიტიკოსი და არა ექიმი. რა უფლებით აკეთებს ასეთ განცხადებებს, რომ სიმულანტობს? ვინ მისცა ამის თქმის უფლება? სამედიცინო განათლება აქვს?! სერგეენკომ რომ თქვას, კიდევ გასაგებია. თავის მოსაზრებას აფიქსირებს, როცა ექიმთა მთელი არმია ან ჩუმადაა, ან ამბობს, რომ ადამიანი მძიმე ავადმყოფია?! ეს განცხადებები ძალიან შემაშფოთებელია, თუმცა „ქართულ ოცნებას“ არაფერი არ აშფოთებს, არც სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა და არც ქვეყანაში არსებული სიტუაცია. შუასაუკუნოვან მეთოდებს მისდევენ და ნაციონალურ მოძრაობასაც და სააკაშვილსაც უნდათ, რომ ასე საჯარო, საჩვენებელი დასჯა მოუწყონ.

– ადვოკატმა შეიტანა სასამართლოში მოთხოვნა სააკაშვილის სასჯელის გადავადებასთან დაკავშირებით, აცხადებს, რომ მომაკვდავია. რას ელით სასამართლოსგან, ან პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ხომ არ შეიწყალებს?

– პრეზიდენტი ვერ შეიწყალებს, რადგან, როგორც თვითონ განაცხადა, სასამართლო პროცესი არ არის ბოლომდე დასრულებული. ამიტომ საჭიროა მეტი მოთხოვნები სასამართლოს მიმართ, რომ სასამართლო დასრულდეს რაც შეიძლება სწრაფად და შემდეგ შესაძლებელი გახდეს, მიემართოს პრეზიდენტ ზურაბიშვილს. კარგი იქნება, პრეზიდენტი თუ შეიწყალებს, მაგრამ, მე მაქვს ეჭვი, რომ პრეზიდენტი თუ შეიწყალებს, მაინც არ გამოუშვებენ, რაღაცას მოიგონებენ. აბა მურუსიძის სასამართლო ტყუილად შექმნეს?! სწორედ ამიტომ შექმნეს, რომ რთულ სიტუაციებში მურუსიძემ თავისი სათქმელი თქვას. ვგულისხმობ კოლექტიურ მურუსიძეს, რა თქმა უნდა!

– ანუ მძევალია და, რაც არ უნდა დაემართოს, არ გაუშვებენ მიხეილ სააკაშვილს?

– ღმერთმა ქნას, რომ გაუშვან, მაგრამ მე ასე ვფიქრობ.

– რატომ, ეს არის პირადი შურისძიება ივანიშვილის მხრიდან?

– დიახ. სააკაშვილი ციხეში – ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ივანიშვილის სურვილის დაკმაყოფილება. ოპოზიცია ამბობს, რომ სააკაშვილი პუტინის პირადი მძევალია, რაც არ არის სწორი და ამაში 100%-ით დარწმუნებული ვარ. პუტინს საერთოდ არ სცხელა სააკაშვილისთვის, თავისი პრობლემები აქვს. ივანიშვილს აქვს სააკაშვილთან გასასწორებელი ანგარიშები, აშკარად გაბრაზებულია სააკაშვილზე. გაჟღერდა კიდეც, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ივანიშვილი გამოიყენა, რომ იტყვიან, გადააგდეს და ახლა შურისძიების მომენტია. თუმცა ამ ყველაფრის რეალიზაციას დღეს ახდენს „ქართული ოცნება“. მარტო ივანიშვილი ხომ ვერაფერს ვერ გახდებოდა, რომ არა „ქართული ოცნება“! რა, სასამართლო ივანიშვილია?! რატომ გვეშინია, რომ ინსტიტუტებზე გადავიტანოთ პასუხისმგებლობა? ჩვენ ვერაფრით ვერ ვისწავლეთ და გავიაზრეთ, რომ პიროვნება ვერ მოქმედებს, ვერაფერს გახდება, თუ ინსტიტუტი გვერდში არ ჰყავს.

– დასავლეთიდან ვისმენთ შეფასებებს, სულ მცირე ხელჩასაჭიდი მაინც მივცეთ, რომ სტატუსი მოგვცენ. ხელისუფლება კი საპირისპიროს აკეთებს. რას ფიქრობთ თქვენ?

– არ უნდათ ამათ ევროკავშირი. ამისთვის არ გააკეთებენ არაფერს, შემდეგ კი ამას გადაბრალებენ ისევ ევროკავშირსა და ოპოზიციას. უკვე დაიწყო კობახიძემ განცხადებები, ოპოზიციამ წყალი აამღვრიაო. ძალიან ეფექტურად ჩაითრია „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიცია ამ პროცესში და ახლა მიდის პინგ-პონგი – ოლიგარქია, არ არის ოლიგარქი და ასე შემდეგ. ვისაც არ უნდა უწოდონ ოლიგარქი, საქართველოს მოსახლეობამ ძალიან კარგად იცის, თუ ვინ არის დღეს საქართველოში ოლიგარქი. ასეთი ერთი კაცი გვყავს და ეს არის ივანიშვილი. მორჩა და დამთავრდა.

– რას ელით?

– რას უნდა ველოდო? ჩვენ არავინ მოგვცემს კანდიდატის სტატუსს. ასევე, დარჩება ის მმართველობა, რომელიც გვაქვს. ერთადერთი, რის იმედიც მაქვს და ველი სიტუაციას შეცვლას, ეს არის უკრაინის გამარჯვება. როდის, არ ვიცი, მაგრამ ეს გამარჯვება აუცილებლად იქნება! აი, სწორედ მაშინ შეუდგება წყალი „ქართული ოცნების“ მმართველობას. ჩვენი ბედი საქართველოს გარეთ წყდება, სამწუხაროდ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – წურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„საქართველოში არც ომი და არც მეორე ფრონტის გახსნა არავის არ უნდა“

შოთა მალაშხია: „სააკაშვილს მოექცნენ ისე, როგორც ყველაზე ბნელი და ტოტალიტარული სამყარო იქცევა“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატს შოთა მალაშხიას ესაუბრა.

– იქმნება განცდა, რომ პატიმრობაში მყოფ განსასჯელ მიხეილ სააკაშვილს სამკურნალოდ უცხოეთის კლინიკაში გადაიყვანენ და შემდეგ შეიძლება გაათავისუფლონ კიდეც. თქვენ რას ელით?

– ამათ ხელში („ქართული ოცნების“ რუსულ ხელისუფლებაზე ვსაუბრობ) ცოტა ძნელი წარმოსადგენია, რამე სასიკეთო მოხდეს. ესენი ყველაფერს მოსკოვის მითითებით აკეთებენ. ალბათ, ექნებათ რეაქცია დასავლეთიდან ზეწოლაზე, აქაურ აქტივობაზე. ქვეყნის შიგნით აუცილებელია მოსახლეობის აქტიურობა, საელჩოების ჩართულობა. ცალსახაა ერთი რამ – მესამე პრეზიდენტი მოწამლულია.

– მისი ახლო ნათესავები ამაში საქართველოს ხელისუფლებას არ ადანაშაულებენ.

– ვინ შეასრულა ეს საშინელი დავალება, ამას მნიშვნელობა არა აქვს. პოლიტიკურად – არა, მაგრამ მოწამვლის თვალსაზრისით პარალელს ვავლებ ნავალნისთან. ზეწოლის გამო კრემლი დათანხმდა ნავალნის გაშვებას გერმანიაში სამკურნალოდ.

– უკვე დიდი ხანია, გამოითქმის აზრები, რომ სააკაშვილს დასავლეთიდან ნავალნის მსგავსი მხარდაჭერა არა აქვს.

– მოწამვლაზე ადრე მარტო ვარაუდები იყო. ამაზე ინტუიტიურად საუბრობდნენ. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მესამე პრეზიდენტის მდგომარეობა უარესდება. ახლა ეს ფაქტია და პროცესები ახლა იწყება. ამას სჭირდება სამედიცინო დასკვნა. წარმოუდგენელია, ვიღაცამ ციხეში მოწამლოს პრეზიდენტი. დავანებოთ თავი მის წარმატებებს, რეფორმებს. საფრთხეშია ადამიანის სიცოცხლე. ასეთი მოქცევა არ ჯდება არანაირ ნორმაში. ეს არის დიდი სისასტიკე. ეს არის რუსული იმპერიული და საბჭოთა ბუნება. ეს იგივეა, რასაც ოკუპანტი რუსეთი ომის დაწყებიდან აკეთებს უკრაინაში. სააკაშვილს მოექცნენ ისე, როგორც იქცევა ყველაზე ბნელი და ტოტალიტარული სამყარო. მახსენდება 2008 წლის ომი. ომის დროს ჩვენს ტერიტორიაზე ჩამოვარდა მოწინააღმდეგის მფრინავი. ეს კაცი წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც უმკურნალეს. აი, როგორი იყო სამართლებრივი სახელმწიფოს მიდგომა სამხედრო ტყვის მიმართ. დღევანდელი ხელისუფლება ამის საპირისპიროა.

– მაშინდელი ხელისუფლება სხვა სახის სტანდარტებს არღვევდა.

– ამას ვაღიარებ. მაგალითად, სასამართლოში იყო პრობლემები. მაშინაც იყვნენ ნაძირალა მოსამართლეები. ისინი იღებდნენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. „ოცნების“ დროს მოსამართლეები პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსაც იღებენ და ქრთამებსაც.

– რუსეთის იმპერია ახსენეთ. ამ იმპერიისგან გათავისუფლებაზე აქტიურად ალაპარაკდნენ არა მარტო რუსეთის ფედერაციის კოლონიზირებული ეთნიკური ავტონომიები, არამედ, დამოუკიდებელი სახელმწიფოებიც, მაგალითად, სომხეთი. ჩვენთან რა პროცესებია?

– ჩვენთან არის სხვა ხელისუფლება. ეს არის იანუკოვიჩის მსგავსი მმართველობა. რუსეთის იმპერიის მარცხი გარდაუვალია. რუსეთის ახლანდელი იმპერია დამარცხდება მაშინვე, როგორც კი გამოიკვეთება უკრაინის გამარჯვება ომში. ამას მოჰყვება სხვა პროცესები. ფაქტობრივად, ყველაფერი დანარჩენი ხურდაა. მთავარია უკრაინის გამარჯვება. ჩვენთან რა პროცესებია და ისევ გვეკითხებიან, აბა, ომი გინდათო? ისევ ავრცელებენ დეზინფორმაციას. რეალურად, საქართველოში ომი არავის უნდა. არც მეორე ფრონტის გახსნა. რასაკვირველია, არც დასავლეთს. პრაგმატულად განვიხილოთ საკითხი. საქართველო რომ ომში ჩაერთოს, დასავლეთმა მას ყველაფერი უნდა მოაწოდოს. უკრაინას გვერდით პოლონეთი ჰყავს. ჩვენ სხვა მდებარეობა გვაქვს და მომარაგება შეუძლებელია. რა გამოდის, დასავლეთი ითრევს საქართველოს, რომ ის რუსეთთან დამარცხდეს? სრული უაზრობაა. სრული აბსურდია იმის მტკიცებაც, თითქოს რუსი ოლიგარქი ივანიშვილი იბრძვის იმისათვის, რომ თავიდან აგვაცილოს რუსეთის ომი.

– აბსურდის გავრცელება რუსეთის ერთ-ერთი ჰიბრიდული ინსტრუმენტია?

– ეს არის „კგბ“-ს მეთოდი – აბსურდის გავრცელება, რათა რომელიღაც ფენას რაღაც დააჯეროს. ამ შემთხვევაში უნდათ, ვიღაცამ დაიჯეროს, რომ რუს ოლიგარქ ივანიშვილს უნდა, რომ საქართველოს თავიდან ააცილოს რუსული ომი. შედეგს ვერ აღწევენ. ამ აბსურდს ავრცელებენ დაინტერესებული პირები – ზოგი ტროლია, ზოგი ხელისუფლების სამსახურში დგას.

– ტროლინგის პარალელურად, კეთდება საჯარო განცხადებები. მათი ავტორები არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ფორმალურად გამოეყვნენ მმართველ პარტიას, ასევე პროკრემლისტური ჯგუფები. პრორუსები ხალხს ისევ აჯერებენ რუსეთის უძლეველობაში, ლაპარაკობენ ამერიკის აგრესიასა და იმაზე, რომ უკრაინაში ქართველები არ უნდა იბრძოდნენ.

– ვერანაირ წარმატებას პრორუსული ჯგუფები ვერ მიაღწევენ. ეტყობა, მოსკოვის ექო ამათ ყურამდე გვიან მოდის. მოუსმინონ კრემლის ძალიან ცნობილ პროპაგანდისტ ტელეწამყვანებს – სოლოვიოვს, სკობეევას, სიმონიანს. ისინი პანიკაში არიან, საუბრობენ რუსეთის შესაძლო დამარცხებასა და მოსალოდნელ ნიურნბერგის პროცესზე, ამბობენ, მალე ყველას დედა გვეტირება, მათ შორის კრემლის დამლაგებლებსაცო. ქართველ პროსუსებამდეც მოვა ეს ექო და მალე ესენიც ასე ამღერდებიან. თუ გაიხსენებთ, ომის დაწყების დღეებში უარესს ამბობდნენ, ამტკიცებდნენ, რომ რუსეთი რამდენიმე დღეში იმარჯვებს. პრორუსული ჯგუფები თავიანთ „ალტ ინფოსა“ და „ობიექტივში“ ლამის უკვე რუსეთის გამარჯვებას ზეიმობდნენ. ახლა შეცვალეს ფრაზები, თუმცა ჯერ ბოლომდე ვერ მიმხვდარან, რა ვითარებაა. მალე მოსკოვში დაწყებული პანიკა ამათაც გადმოედებათ. ქართველები იბრძვიან უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ და თავსაც სწირავენ საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას. ახლა 5 მებრძოლი ერთად დაიღუპა. მანამდე თითო-ოროლა იხოცებოდა ერთად. ვუსამძიმრებ დაღუპულთა ახლობლებს.

– მინდა გკითხოთ ოკუპირებულ აფხაზეთზე. ბიჭვინთის აგარაკის რუსეთისთვის გადაცემის შეთანხმების რატიფიკაცია აფხაზეთის პარლამენტმა დღემდე ვერ გაბედა. აფხაზეთის დეპუტატებმა შეიმუშავეს ცვლილებები ამ დოკუმენტში. რუსების აზრით, აფხაზეთის პარლამენტს შეუძლია, რატიფიკაციის შემდეგ მიიღოს დადგენილება, სადაც შესწორებები შევა. რუსეთი სუსტდება, მაგრამ რაღაც ნაწილების ანექსირებას ახდენს?

– ის, რაც ხდება, არ თავსდება აფხაზეთის ვითომ დამოუკიდებლობაში. რუსეთი ისეთ რაღაცებს უკეთებს აფხაზ ეთნოსს, რომ აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ მათ ფიქრებშიც კი ქრება. აფხაზები თითქოს ჭიდაობენ რაღაცაზე, მაგრამ იციან, რომ დედა ეტირათ. ზვიადმა აფხაზ ხალხს წარმოუდგენლად ბევრი უფლება მისცა, ძალიან ბევრი რამ დაუკანონა, მიშამაც მისცა დაპირებები. რუსეთი რომ დამარცხდება და მსოფლიო სხვა პრობლემებისთვის მოიცლის, ჩვენ საერთაშორისო საზოგადოებას გავაგებინებთ სიმართლეს, ვეტყვით, რომ აფხაზებისათვის ადრე მიცემული უფლებები გადამეტებული იყო მათი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მათ ამდენი უფლება არ სჭირდებათ.

რუსეთის მხრიდან ანექსიის მცდელობები და ხელმოწერილი დოკუმენტები დროებითია. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რა დოკუმენტებს აფორმებს დროებით ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლება. არცერთ ამ დოკუმენტს ძალა არ ექნება. აფხაზეთს მთლიანად ვიბრუნებთ. ადრე უკრაინელები იბრძოდნენ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისათვის, ახლა ჩვენები სწირავენ თავს უკრაინის ომს. 5 კაცი ერთდროულად დაგვეღუპა. ყველანი იბრძოდნენ და იბრძვიან უკრაინისთვისაც და საქართველოსთვისაც და, რა თქმა უნდა, იმპერიის წინააღმდეგ. რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას უკრაინაში ეწირებიან ქართველები. აგერ, 5 ერთად დაიღუპა. კრემლს მსოფლიო პასუხს მოსთხოვს. რუსეთს ელის დიდი ნიურნბერგის პროცესი.

2011 წელს გადავიღე 17 დოკუმენტური ფილმი ოკუპაციაზე (ქართულ, ინგლისურ, რუსულ, უკრაინულ ენებზე). იმ ფილმებში ნათქვამია, რომ ჰიტლერის, სტალინის, პუტინის მმართველობა, ანუ ფაშიზმი, კომუნიზმი და რაშიზმი ერთი და იგივე მოვლენაა. სამივე მათგანი გაერთიანდა პუტინის ხელისუფლებაში. უკრაინაში მებრძოლები ამ მონსტრს ამარცხებენ.

„სასამართლოზე გამოჩნდება, რა გადაწყვიტა „ოცნებამ“ სააკაშვილის მიმართ“

სოსო ცინცაძე: „ხელისუფლებას ყველა შემთხვევაში მოუწევს რაღაც დონის გადაწყვეტილების მიღება და ეს, არა მგონია, მიბმული იყოს ევროკავშირთან“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, არის მოსაზრება, რომ ხელისუფლება ევროკავშირთან სტატუსის მინიჭების სანაცვლოდ მიხეილ სააკაშვილის დასავლეთში გადაყვანით ივაჭრებს. თქვენ რამდენად უშვებთ ამ ვარიანტს?

– არა, მგონია. კულუარებში შეიძლება ვიღაცებს ჰქონდეთ ასეთი მოსაზრებები და არც გამორიცხავენ, მაგრამ რეალურად ასეთი რამ არ მოხდება.

– რატომ?

– პირველ რიგში, სტატუსის მონიჭების საკითხი ჯერ არ დადგება დღის წესრიგში. მანამდე, როგორც ვიცით, დრო ერთ წლამდე გვაქვს. მიხეილ სააკაშვილის საკითხი კი ძალიან სწრაფად არის გადასაწყვეტი, როგორც სამედიცინო დასკვნებშია საუბარი.

საერთოდ, ნებისმიერი მოლაპარაკება და პოლიტიკური ვაჭრობა ძალიან ხანგრძლივი პროცესია, სააკაშვილის ჯანმრთელობა კი, როგორც ამბობენ, ძალიან სწრაფად არის მისახედი.

– მაინც როგორ შეიძლება, ეს საკითხი გადაწყდეს?

– მთავარია, რა აქვს გადაწყვეტილი სააკაშვილთან დაკავშირებით „ქართულ ოცნებას“. თუ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ სახე შეინარჩუნოს და ანგარიში გაუწიოს დასავლეთს, მაშინ სასამართლოს გავლით მოხდება ეს ყველაფერი. სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას წარდგენილი სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, რომ განრიდება მოხდეს, დროებით შეწყდეს ძიება და სამკურნალოდ გადაიყვანონ საზღვარგარეთ. ერთი სიტყვით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩვენ შეიძლება მივხვდეთ, რა გადაწყვიტა „ოცნებამ“. სწორედ სასამართლომ უნდა მიიღოს დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილება.

– უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ანუ თუ ციხეში დატოვა?

– თუ ციხეში დატოვებს, მაგრამ საქმეები იქნება ამოწურული და სააკაშვილი იქნება მსჯავრდებული, მაშინ არის კიდევ ერთი გზა და ეს გზა პირდაპირ პრეზიდენტამდე მიდის. თუ ყველა საქმეზე სააკაშვილი იქნება მსჯავრდებული, მაშინ სალომე ზურაბიშვილი ვერ იტყვის, რომ საქმეების წარმოება არ არის დასრულებული და ის ვერ შეიწყალებს. პირველ რიგში დასავლეთს ვერ ეტყვის, რომ ვერ შეიწყალებს.

– შეიძლება, სალომე ზურაბიშვილს დასავლეთი სააკაშვილის შეწყალებას სთხოვდეს?

– არ არის გამორიცხული, მაგრამ ამას ევროკავშირი თუ აკეთებს, ძალიან დიპლომატიურად აკეთებს. თუ სააკაშვილის მიმართ აღძრული ყველა საქმე განიხილება და სასამართლო პროცესები დასრულდება, მერე უკვე სალომე ზურაბიშვილი ვერ იტყვის, როგორც ბიბისის უთხრა, მას არ შეუძლია შეწყალება.

თქვენს კითხვას რომ დავუბრუნდეთ, სტატუსის სანაცვლოდ ივაჭრებს თუ არა ხელისუფლება? მე მაინც მგონია, რომ სააკაშვილის საკითხის გარდა, იმ 12 პუნქტში ძალიან ბევრი საკითხია, რომლებიც გადაჭრას საჭიროებს. ეს არის სახალხო დამცველის საკითხი, კანონი „დეოლიგარქიზაციის“ შესახებ, რომელზეც დასკვნა უნდა დადოს ვენეციის კომისიამ. ამ დასკვნაზე ასევე ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული. ამიტომ ვამბობ, რომ მეეჭვება, ასეთი შეთანხმება შედგეს ევროკავშირსა და ხელისუფლებას შორის.

მიხეილ სააკაშვილის საკითხი, ასე თუ ისე, მაინც ადგილზე უნდა გადაწყდეს და ეს გადაწყვეტილება ქართულმა მხარემ უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი ჩარევებისგან. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები და რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული. საფრანგეთის სასამართლომაც გაასამართლა ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, მაგრამ ის ერთი დღე არ ყოფილა ციხეში, გადაიხადა გირაო და შინაპატიმრობაში იმყოფება.

რამდენად ითმენს სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ხანგრძლივი დროით გადადებას, ვერ გეტყვით, მაგრამ, ფაქტი ერთია, ხელისუფლებას ყველა შემთხვევაში მოუწევს რაღაც დონის გადაწყვეტილების მიღება და ეს, არა მგონია, მიბმული იყოს ევროკავშირთან და მის სამომავლო გადაწყვეტილებასთან.

– გერმანიაში ვიზიტით იმყოფებოდა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი. მისი განცხადებით, გერმანიის დამოკიდებულება საქართველოსადმი შეცვლილია და ისინი მხარს უჭერენ საქართველოს. გერმანიამ, საფრანგეთმა შეიძლება თავიანთი სკეპტიკური დამოკიდებულება შეცვალონ?

– ერთი ვიზიტით ასეთი რაღაც არ ხდება. რთულად წარმომიდგენია, გერმანიამ და საფრანგეთმა შეცვალონ თავიანთი უკვე ლამის ტრადიციული სკეპტიკური დამოკიდებულება საქართველოსთან მიმართებით, რომელიც მათ ჰქონდათ საქართველოს ევროკავშირში, ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. თან ასეთი რაღაც არ ხდება ქვეყნის პირველი პირების მოლაპარაკებების გარეშე. ირაკლი ღარიბაშვილი რომ ჩასულიყო ოლაფ შოლცთან და მოლაპარაკებები გაემართა, შემდეგ პრესკონფერენციაზე გამხდარიყო ამის შესახებ ცნობილი, დავიჯერებდი და ვიტყოდი, რომ გარღვევა მოხდა. ახლა რთული წარმოსადგენია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არის საპარლამენტო რესპუბლიკა და საუბარია პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტზე. გერმანიაში მშვენივრად იციან, ვინ რას წყვეტს. ერთ და ორ დღეში არ ხდება პოზიციების ასეთი რადიკალური ცვლილებები.

– მიუხედავად ახალი რეალობისა, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად მსოფლიოში შეიქმნა?

– დიახ, შეიქმნა ახალი რეალობა, მაგრამ ჩვენ, როგორც სახელმწიფოს, ამ ახალ რეალობაში რა პოზიცია გვაქვს?! მე არ ვამბობ, რომ ბრძოლაში უნდა ჩავებათ, არავითარ შემთხვევაში. მე ვსაუბრობ არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე.

რუსეთში სტალინს მისტირიან

ოდიოზურმა ტელეწამყვანმა სოლოვიოვმა განაცხადა, რომ ლიბერალიზმის იდეა აშშ-ის მიერ იყო შემოგდებული. ამის შედეგი იყო პერესტროიკა, სსრკ-ის დაშლა და შემდგომი მოვლენები.

სოლოვიოვის აზრით, ი.ბ. სტალინის პოლიტიკა სწორი იყო, განსაკუთრებით – უკრაინასთან მიმართებით. ის უკრაინული ნაციონალიზმის დასამარებას გულისხმობდა. სოლოვიოვმა გოლოდომორის ორგანიზება გაამართლა. მან ამას მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი ღონისძიება უწოდა.

მოამზადა ნიკა თეგზაძემ

„ნაციონალებში ყველა ჯიბის გასასქელებლად არის“

ჯონდი ბაღათურია: „სააკაშვილს რეალური ინფორმაცია რომ ჰქონოდა, იმის ნაცვლად, რასაც ესენი ეუბნებოდნენ, თუ დაგიჭირეს, ხალხი ქუჩაში გამოცვივდებაო, არ ჩამოვიდოდა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი ჯონდი ბაღათურია პასუხობს.

– ბატონო ჯონდი, გიული ალასანიამ უცხოური კომპანია დაიქირავა, რომელმაც სააკაშვილის მესამე ქვეყანაში გადასაყვანად კამპანია უნდა აწარმოოს. ხელისუფლების წარმომადგენლები კი ამბობენ, ლობისტური კომპანია დაიქირავა, საქართველოს წინააღმდეგ რომ იმუშაოსო. თქვენ რას ფიქრობთ?

– აქ ქართული მართლმსაჯულებისთვის საინტერესოა, საიდან აქვს გიული ალასანიას იმდენი ფული, რომ უცხოური ლობისტური კომპანიები დაიქირავოს. მათი მომსახურება მილიონები ღირს დოლარებში.

როდესაც მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, გიული ალასანიას არანაირი ბიზნესი არ ჰქონდა. ეს მისი დეკლარაციებიდან ჩანს. ალასანიას არანაირი კაპიტალი არ ჰქონდა. საქართველოში „ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის შესახებ კანონით“ (რომელიც სააკაშვილმა მიიღო, როცა პარლამენტში უმრავლესობა ჰყავდა), გიული ალასანია და სააკაშვილი ავტომატურად ვალდებული არიან, დღეს მათ საკუთრებაში არსებული ქონება დაასაბუთონ. მტკიცების ტვირთი მათ მხარესაა.

თუმცა, კანონი იმასაც ამბობს, რომ პროკურატურაც ვალდებულია, მათ პასუხი მოსთხოვოს. 10 წლის განმავლობაში ვერ მივაღწიე, რომ პროკურატურამ თავი შეიწუხოს, კითხვა დასვას, საიდან აქვთ სააკაშვილსა და გიული ალასანიას მილიონები, რომელსაც ხარჯავენ. საიდან აქვთ ის ქონება, რომელსაც ფლობენ და რომელზეც დადასტურებული ინფორმაციები არსებობს. აქ ეს არის მნიშვნელოვანი.

– მილიარდებზე როცა საუბრობთ, კეზერაშვილის მიმართ არსებული ბრალდებები გამახსენდა, რომ მას თავდაცვის სამინისტროდან ჯარისკაცების შეიარაღების ფული აქვს მიტაცებული. მგონი, 10 წელიც აქვს მისჯილი. შეიძლებოდა, კეზერაშვილს სააკაშვილის გარეშე ამხელა თანხების მოპარვა მოეხერხებინა?

– დამიჯერეთ, როდესაც ნაქურდალზე ვლაპარაკობდი, ქურდბაცაცა კეზერაშვილი გამახსენდა. უბრალოდ, არ ვთქვი, რადგან ბოლო პერიოდში მისი ხსენება რამდენჯერმე მომიხდა. ისმება კითხვა: ქურდბაცაცა კეზერაშვილს საიდან აქვს მილიარდები? პროკურატურა რატომ არ ინტერესდება ალასანიას, კეზერაშვილს, სააკაშვილს ამხელა ქონება საიდან აქვთ და მათ ქონებას ყადაღა რატომ არ ედება? ეს არ გაინტერესებთ?

– თქვენ როგორ ფიქრობთ, კეზერაშვილ-სააკაშვილის ქონებას ყადაღა რატომ არ ედება?

– სადაც პროკურორს, პოლიტიკოსს, შს მინისტრს დაინახავთ, ყველგან უნდა დასვათ კითხვა: მათ ყადაღა რატომ არ ედება-თქო. ცნობისმოყვარეობა მაინც არა აქვთ, რომ კითხვა დასვან, ამ ადამიანებს ამხელა ქონება საიდან აქვთ?

ასე გამდიდრება სხვებმა რატომ ვერ მოახერხეს? სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ ბიზნესმენები გააკოტრეს, გაატყავეს. პრეზიდენტის ოჯახის წევრებმა მილიარდები რომ იშოვეს, საიდან აქვთ ეს ფული, ეს პროკურატურას რატომ არ უნდა აინტერესებდეს?

– თვითონ სააკაშვილის მესამე ქვეყანაში გადაყვანაზე რას იტყვით? ციხიდან ისედაც გაყვანილია და არაპენიტენციარულ სამედიცინო დაწესებულებაში იმყოფება. ახლა მესამე ქვეყანაში გადაყვანას ითხოვენ, ძალიან ცუდად არისო.

– სააკაშვილსა და მის ამფსონებს ძალიან სამარცხვინო ისტერიკა აქვთ გამართული. ახალაია და მერაბიშვილიც ისხდნენ. ასეთები არ უკადრიათ. ჯერ ერთი, კაცს ერთი ბოდიშიც არ მოუხდია. არავის ციხეში ჯდომა არ მიხარია. არც ახალაიას ციხეში ჯდომა მიხარია. რაც სააკაშვილმა ხალხსა და სახელმწიფოს გაუკეთა, პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს?

თუ ჩვენ სახელმწიფო ვართ, იმისათვის, რაც სააკაშვილმა ქვეყანასა და ხალხს გაუკეთა, პასუხი უნდა აგოს. დღემდე აცხადებს, ყველაფერი სწორად გავაკეთეო. რა ნამუსით უნდა იჯდეს დღეს (ერთი ქილის) 5 ლარის ან ერთი საბურავის ქურდობაზე ადამიანი ციხეში, თუ სააკაშვილს 9 მილიონის ქურდობაზე გარეთ გაუშვებ?!

სააკაშვილის დროს მე უამრავი საქმე მქონდა წინ წამოწეული, მაგრამ სამართალს ვერ ვაღწევდი. მაგალითად, გორში 14 წლის მოზარდმა მეზობლის სარდაფიდან ცარიელი ღვინის ბოცა მოიპარა (რაც კარგი საქციელი ნამდვილად არ არის, ქურდობაა), 9 წელს მიუსაჯეს, სარდაფის კარი გატეხა, სხვისი ნივთის დააზიანა, სხვის კუთვნილებაში შეაღწია და ქურდობა ჩაიდინაო, შეუკრიბეს და 9 წელი მისცეს.

თბილისში 5-მა ბავშვმა (ორი 12 წლამდე იყო და სისხლის სამართლის საქმეს ვეღარ აღუძრავდნენ), რომელთაგან ყველაზე უფროსი 15 წლის გახლდათ, 5 ეპიზოდში, ჯამში 38 ლარი მოიპარა. ე.ი. თითო ქურდობაზე თითომ 7-8 ლარი მოიპარა, ქურდობები შეუკრიბეს და 9 და 10 წელს უსჯიდნენ. საპროცესო შეთანხმებაში 15 ათას ლარს სთხოვდნენ.

ერთ-ერთს დედ-მამა არ ჰყავდა. საქმე ჩემამდე ერთ-ერთმა მოიტანა, ვის დედასაც სახლის გაყიდვასა და 15 ათასი ლარის გადახდას სთხოვდნენ. მივიყვანე ჟურნალისტი და ვაჩვენე, დანგრეულ, ავარიულ სახლში ცხოვრობდნენ. ასეთ ავარიულ სახლს ვერც გაყიდდა და, თუ გაყიდდა, ქუჩაში უნდა დარჩენილიყო. თანაც რისთვის? ბავშვმა 7 თუ 8 ლარი მოიპარა. იმ ბავშვზე უკეთესი სააკაშვილი რით არის, წითელი კვერცხია?

– ახლახან „ემპათიამ“ ექსპერტიზის შედეგები გამოაქვეყნა. იქ წერია, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად სააკაშვილს რაღაც დაავადება განუვითარდა.

– გჯერათ, რომ სააკაშვილი ციხეში აწამეს და მოწამლეს? რომელიღაც ადვოკატი გამოდიოდა და ამბობდა, მოწამლესო. გჯერათ? სხეულში საწამლავის კვალი უპოვესო. თან თურმე ოთხი საწამლავით მოწამლეს. მითრიდატე პონტოელი გახდა, რომ ვერ იწამლება? ოთხი საწამლავი ერთად დაალევინეს თურმე. გჯერათ?

9 მილიონისთვის 6 წელი მიუსაჯეს. მის დროს 7 ლარის მოპარვისთვის 9 წელს უსჯიდნენ. კაცმა ჯამში 3 ათასი ლარის თაღლითობა ჩაიდინა. შეუკრიბეს და 14 წელი მიუსაჯეს. 6 წელი აქვს მისჯილი. ხბოს ღვიძლის პაშტეტებს აჭმევენ, ექიმები და მთელი კონსილიუმი თავს ევლება. გჯერათ, რომ სააკაშვილი ვიღაცამ აწამა და ოთხი საწამლავი დაალევინა?

– ახლა ნაცმოძრაობაში მიმდინარე პროცესებს რომ უყურებთ, რა გეფიქრებათ?

– არაფერი. ერთსულოვნება დაეკარგათ, ლიდერი აღარ ჰყავთ, რომელიც კრავდა. ერთადერთი, ამ ეკლექტური გაერთიანების შემდუღებელი იყო. მათი წევრების სურვილია ხელისუფლებასთან ან ხელისუფლებაში ყოფნა, თავიანთი პირადი, მერკანტილური ინტერესების დაკმაყოფილება, ჯიბის გასქელება. უმრავლესობა ამიტომ იყო ნაცმოძრაობაში. ალბათ, რაღაც იდეის მატარებლებიც არიან, რაც მათგან ვერცერთხელ ვერ მოვისმინე. ახლა ეს დაიკარგა. სააკაშვილი აბსოლუტურად გაკოტრდა. ყოფილი პრეზიდენტი არაჟნის კონტეინერით შემოიპარა, დღეს ხბოს პაშტეტებით იკვებება და კივის-წივის, ისტერიკა აქვს.

ამან სააკაშვილი გააკოტრა, რეიტინგი დაეცა და ახლა ერთმანეთში საქმეების გარკვევა დაიწყეს. ახალი ლიდერების წამოწევის რაღაც მცდელობა ჰქონდათ, გარედანაც ეხმარებოდნენ, რომ სახელმწიფო საქმეებში ცხვირი კარგად ჩაეყოთ, მაგრამ ეს ვერ გააკეთეს. ახლა ახალი დამფინანსებელი, კეზერაშვილი გამოჩნდა ნაქურდალი ფულით და ჭამენ ერთმანეთს იმისათვის, ვინ დააჯდება იმ ფინანსურ ნაკადებს, რომლებიც მისგან მოდის. იქამდე საზღვარგარეთიდან ეხმარებოდა.

სააკაშვილი საქართველოში ამათ ჩამოიყვანეს, ამათ ჩამოიტყუეს, თორემ მას რეალური ინფორმაცია რომ ჰქონოდა იმის ნაცვლად, რასაც ესენი ეუბნებოდნენ – თუ დაგიჭირეს, ხალხი ქუჩაში გამოცვივდება და ხელში ატატებულს გამოგიყვანსო – არ ჩამოვიდოდა.

– ჰო, ეგონათ, ბევრი ხალხი გამოვიდოდა.

– 200 კაცი გამოვიდა. ახლა ის 200 კაციც არ მივა.

საერთაშორისო

დნეპრის მარცხენა ნაპირზე უკრაინული დროშა აღიმართა

ხერსონის ოლქში, დნეპრის მარცხენა ნაპირის ტერიტორიაზე, უკრაინული ეროვნული დროშა აღიმართა. ამის თაობაზე იტყობინება „რბკ-უკრაინა“.

– დროშის აღმართვით ხერსონის ოლქის დნეპრის მარცხენა ნაპირის ტერიტორიის დეოკუპაციის პროცესი კიდევ უფრო განვითარდა, – ნათქვამია შეტყობინებაში.

ბრძოლები უკრაინის სამხრეთში

უკრაინის სამხრეთ რეგიონშიც ცხარე ბრძოლებია. ხერსონთან შედარებით სიმშვიდეა. რუსი ოკუპანტები ხერსონის ოლქის დნეპრის მარცხენა სანაპიროზე გამაგრდნენ და იქიდან ხერსონს ქვემეხებს უშენენ. უკრაინელები ვალში არ რჩებიან.

– ოკუპანტების რიგებში სერიოზულ დანაკარგებს განაპირობებს ის ფაქტი, რომ უკრაინელებს ხერსონთან არტილერიაში უპირატესობა აქვთ, – იტყობინება ბრიტანეთის დაზვერვა.

პოზიციური ბრძოლებია ზაპოროჟიეს ოლქშიც. ოკუპანტებმა ქალაქ ზაპოროჟიეს რაკეტები დაუშინეს. მშვიდობიან მოსახლეობაში დიდძალი მსხვერპლია. რუსები მიზანმიმართულად უმიზნებენ საცხოვრებელ სახლებს. უკრაინელებმა პასუხად განახორციელეს დარტყმა მელიტოპოლზე. ოკუპანტების რიგებში დიდი დანაკარგია.

მელიტოპოლიდან, აგრეთვე ენერგოდარიდან რუსებმა დიდძალი ძალები მოხსნეს და მათი უმრავლესობა დონბასში გადაისროლეს, ზოგი – ბახმუტთან, ზოგიც – ავდეევკასთან.

ბახმუტთან ნამდვილი ჯოჯოხეთია

უკრაინა-რუსეთის ომი გრძელდება. ყველაზე ფართომასშტაბიანი სახე მას აქვს დონბასში. განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია შეიქმნა ბახმუტთან.

– ბახმუტთან ნამდვილი ჯოჯოხეთია, – აცხადებს უკრაინული არმიის გენერალი კრივონოსი.

რუსი ოკუპანტები ბახმუტში შეჭრას შეეცადნენ. იერიში მოგერიებულ იქნა. უკრაინელთა კონტრშეტევის შედეგად ოკუპანტებმა დატოვეს კურდიომივკა და უკან დაიხიეს ოპიტნოედან.

ასეა თუ ისე, რუსებმა ბახმუტში შესვლა ვერ შეძლეს. რაც შეეხება ავდეევკას, იქ ბრძოლები გრძელდება. თანახმად უკანასკნელი ცნობისა, რუსმა ოკუპანტებმა მხოლოდ 10 მეტრით წინ წაწევა შეძლეს. ჩაიშალა რუსების მცდელობა, „კოტიოლში“ მოექციათ აავდეევკა. სხვანაირად ავდეევკის აღება შეუძლებელია.

– უკრაინელმა ნაცისტებმა ავდეევკა ნამდვილ ციხესიმაგრედ გადააქციეს, – აცხადებს რუსული საოკუპაციო ჯარების სარდალი, გენერალი სუროვიკინი.

რაც შეეხება ლუგანსჩინას, იქ უკრაინელთა კონტრშეტევები გრძელდება. უკრაინელებმა სრული ცეცხლოვანი კონტროლი დაამყარეს კრემენოეზე, აგრეთვე – სტრატეგიული დანიშნულების ტრასაზე. მსგავსი სიტუაციაა სვატოვოსთანაც.

რუსეთის უმრავლესობას უკვე უკრაინასთან ზავი სურს

როგორც ცნობილია, უკრაინაში შეჭრის წინ რუსეთის მოსახლეობის 84% ამას მხარს უჭერდა. უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ კიევს სამ დღეში აიღებდნენ. იყვნენ პესიმისტებიც, რომლებიც ამას არ ეთანხმებოდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ კიევს მაქსიმუმ ერთ თვეში დაიკავებდნენ. ასეა თუ ისე, ყველა დარწმუნებული იყო, რომ უკრაინა დამარცხდებოდა, ზელენსკი დაემხობოდა და დამოუკიდებელი უკრაინის ნაცვლად რამდენიმე წვრილი, ნახევრად ფეოდალური სამთავრო შეიქმნებოდა.

გათვლა არ გამართლდა. რუსეთმა კიევი ვერც სამ დღეში და ვერც სამ თვეში ვერ აიღო. ომი გაჭიანურდა. რუსული არმია იძულებული გახდა, დაეტოვებინა კიევისა და ხარკოვის ოლქები, ქალაქი ხერსონი. რუს ჯარისკაცთა მსხვერპლი ნელ-ნელა 100.000-ს უახლოვდება. დღეისათვის ეს ციფრი 90-96 ათასს შორის მერყეობს. ამან რუსეთის მოქალაქეების განწყობა შეცვალა.

– დღეს რუსეთის მოსახლეობის 57% უკრაინასთან საზავო მოლაპარაკებების მომხრეა, – გვამცნობს რუსული ტელეკომპანია ნტვ.

რუსულ ნავთობზე ზღვრული ფასები დაწესდა

ევროკავშირის ქვეყნები რუსულ ნავთობზე ზღვრული ფასების დაწესებაზე შეთანხმდნენ. ამიერიდან რუსული ნავთობის ფასი ბარელზე 60 დოლარი იქნება.

– დიდმა შვიდეულმა ამას მხარი დაუჭირა, – იტყობინება ბი-ბი-სი.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა ზღვრული ფასების დაწესებას ანტირუსული აქცია უწოდა.

– იმ ქვეყნებს, რომლებიც ამას მხარს დაუჭერენ, ნავთობს არ მივაწვდით, – თქვა ლავროვმა.

დანაკარგები ოკუპანტებს შორის

განუწყვეტელმა შეტევებმა რუს ოკუპანტებს შორის დანაკარგები გაზარდა. ციფრობრივად ეს შემდეგნაირად გამოიყურება:

ტანკები – 2.917;
საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 5.886;
ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები – 210;
განადგურებულია 90.060 ოკუპანტი.

ასეთია უკრაინის გენშტაბის მონაცემები. ამერიკის თავდაცვის სამინისტროს ცნობა ამისაგან ოდნავ განსხვავდება. მის თანახმად, განადგურებულია 96.700 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ნოემბერში უაქციზო თამბაქოს ნაწარმის მართლსაწინააღმდეგო შენახვა-გადაზიდვის 173 ფაქტი გამოვლინეს

საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნოემბერში უაქციზო თამბაქოს ნაწარმის მართლსაწინააღმდეგო შენახვა-გადაზიდვის 173 ფაქტი გამოავლინეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, 1-30 ნოემბერს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული კონტროლის ღონისძიებების შედეგად, 11.568 კოლოფი (მათ შორის 10 აიქოსი) და 51 კილოგრამზე მეტი უაქციზო თამბაქოს ნაწარმის მართლსაწინააღმდეგო შენახვა-გადაზიდვის 173 ფაქტი გამოავლინეს.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს უაქციზო საქონელი ჩამოერთვათ.

62 ფაქტზე, სამართალდამრღვევი პირების მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1552-ე მუხლის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და საქმის მასალები ქვემდებარეობის მიხედვით სასამართლოს გადაეგზავნა.

3 ფაქტზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, საქმის მასალები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა, ხოლო დანარჩენი 108 ფაქტი ჩაითვალა არაიდენტიფიცირებულ შემთხვევად და შედგა ამოღების ოქმები, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

სუს-მა ყალბი დოკუმენტების დამზადება-გასაღების ფაქტზე 3 პირი დააკავა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა ყალბი დოკუმენტების დამზადება-გასაღების ფაქტზე 3 პირი დააკავა.

სუს-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დანაშაული 3-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრთა პირადი, ასევე მათი საცხოვრებელი და ნაქირავები ბინების ჩხრეკა, რის შედეგად ამოღებულია სხვადასხვა ქვეყნის მაღალი ხარისხის ყალბი დოკუმენტები. მათ შორისაა მართვისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობები, დიპლომი და სხვა სახის დოკუმენტალური ნივთმტკიცება.

პარალელურად, მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეში გამავალ სხვა პირთა მიმართ დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება მათი შესაძლო სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

რამდენი სარჩელი შევიდა სასამართლოში კრიტიკული მედიის წინააღმდეგ მიმდინარე წელს

– ჩვენ მიერ შეგროვებული ინფორმაციის თანახმად, ბოლო ერთი წლის განმავლობაში 28 სარჩელი შევიდა სამი წამყვანი კრიტიკული ტელევიზიის – „მთავარი არხის“, „ფორმულასა“ და „ტვ პირველის“ წინააღმდეგ. მომჩივნების დიდი ნაწილი მმართველი პარტიის წარმომადგენლები და მათთან დაახლოებული პირები არიან, – ამის შესახებ განცხადებას არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ავრცელებს.

როგორც TI წერს, ეს საშიში ტენდენციაა კრიტიკული მედიის წინააღმდეგ, რომლის გაგრძელებაც იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ რამდენიმე დღის წინ მიღებული გადაწყვეტილება, რომელმაც თბილისის მერის, კახა კალაძის საჩივარი დააკმაყოფილა და „ტვ პირველსა“ და მის ჟურნალისტს, მაია მამულაშვილს 15 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.

– თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა თბილისის მერის კახა კალაძის სარჩელი ტელეკომპანია „პირველისა“ და ჟურნალისტ მაია მამულაშვილის წინააღმდეგ, წარმოადგენს ბოლო პერიოდის მედიაზე ზეწოლის საშიში ტენდენციის ახალ ეტაპზე გადასვლას, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები სასამართლოს იყენებენ კრიტიკული მედიის შესავიწროებლად.

ქართული მედიაგარემო, განსაკუთრებით კი კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის წარმომადგენლების საქმიანობა სასიცოცხლო გამოწვევების წინაშე დგას. ჟურნალისტების წინააღმდეგ ფიზიკური ძალადობის, მასობრივი უკანონო მოსმენებისა თუ მიზანმიმართული დეზინფორმაციის პარალელურად, ბოლო პერიოდში მმართველი პარტიის მხრიდან ხდება სასამართლო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება.

ჩვენ მიერ შეგროვებული ინფორმაციის თანახმად, ბოლო ერთი წლის განმავლობაში 28 სარჩელი შევიდა სამი წამყვანი კრიტიკული ტელევიზიის – „მთავარი არხის“, „ფორმულასა“ და „ტვ პირველის“ წინააღმდეგ. მომჩივნების დიდი ნაწილი მმართველი პარტიის წარმომადგენლები და მათთან დაახლოებული პირები არიან. დროის მცირე მონაკვეთში კრიტიკული მედიის წინააღმდეგ სარჩელების სიმრავლე აშკარად კოორდინირებულ ტენდენციაზე მიანიშნებს, რაც მედიის საქმიანობის შეზღუდვასა და დაშინებას ისახავს მიზნად.

სამწუხაროა, სასამართლო პრაქტიკის ცვლილებაც, მაგალითად, კანონმდებლობით დადგენილი ცალსახა ჩანაწერის მიუხედავად, მტკიცების ტვირთი ჟურნალისტზე გადადის.

ამ ტენდენციის გაგრძელებაა ჯარიმის თანხის, 15 ათასი ლარის დაკისრება, რომლის გადახდაც სასამართლომ სოლიდარულად „ტვ პირველთან“ ერთად ჟურნალისტ მაია მამულაშვილსაც დაავალდებულა. კანონით, მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებული სასამართლო დავისას მოპასუხე მედიის მესაკუთრეა. ეს ბოლო ორ დღეში სასამართლოს მიერ კრიტიკული მედიის წინააღმდეგ მიღებული მეორე გადაწყვეტილებაა. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მათ შორის, „ფორმულასა“ და „მთავარი არხის“ წინააღმდეგ, რომლებსაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი გრიგოლ ლილუაშვილი უჩიოდა.

აღსანიშნავია, რომ კრიტიკულ მედიაზე ზეწოლის ამგვარი ტალღა, რომელიც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უკვე საერთაშორისოდ აღიარებული უკუსვლის ფონზე მიმდინარეობს, სრულიად ესადაგება კლეპტოკრატიული მმართველობისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ნიშანს, როცა კორუფციულ თემებზე მომუშავე ჟურნალისტების გაჩუმებას მათ წინააღმდეგ სასამართლოში ცილისწამების სარჩელების შეტანით ცდილობენ.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ „ქართულ ოცნებას“, იმოქმედონ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე და უზრუნველყონ კრიტიკული მედიის დაცვა, თავისუფალი საქმიანობა და შეწყვიტონ საკუთარი გავლენების გამოყენება მედიის შესავიწროებლად. არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და აზიანებს საქართველოს ევროპულ პერსპექტივას, – წერს არასამთავრობო ორგანიზაცია განცხადებაში. ცნობისთვის, კახა კალაძემ „ტვ პირველსა“ და მაია მამულაშვილის 2022 წლის 5 ივნისს ტელევიზიის ეთერში ჟურნალისტის მიერ ნათქვამი სიტყვების გამო უჩივლა. მამულაშვილი ამბობდა, რომ კალაძემ მხოლოდ ერთი ტენდერიდან 60 მილიონი ლარი მიიღო, რაც თბილისის მერმა უარყო. საბოლოოდ სასამართლომ „ტვ პირველსა“ და მაია მამულაშვილს 15 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მკვლელობა მოხდა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მკვლელობა მოხდა. არსებული ინფორმაციით, სოფელ მეორე ტოლაში მეზობელმა მეზობელი დანით მოკლა და შემდეგ ადგილიდან მიიმალა. არსებული ინფორმაციით, მას ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა.

გავრცელებული ინფორმაციით, თანასოფლელები ტყეში წავიდნენ, სადაც კონფლიქტი მოხდა.

ადგილზე სამართალდამცველები მუშაობენ. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

შსს-მ რაჭაში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ რაჭაში მომხდარი მკვლელობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი. აღნიშნულ ინფორმაციას შსს ავრცელებს.

უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული გ.ს. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს, რაც 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდებარე ტყეში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით, სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენა თანასოფლელს – 1960 წელს დაბადებულ ო.გ.-ს და მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

შსს-ის განცხადებით, სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გ.ს. რაჭაში, სოფელ ჭრებალოში დააკავეს. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

ხობში 23 წლის ბიჭმა მამის საფლავზე, სავარაუდოდ, თავი ჩამოიხრჩო

„გურიანიუსის“ ინფორმაციით, ხობში, სოფელ ხეთაში, ახალგაზრდა კაცმა, სავარაუდოდ, თავი მოიკლა.

გამოცემა წერს, რომ 23 წლის მამაკაცმა მამის საფლავზე, სავარაუდოდ, თავი ჩამოიხრჩო.

ამ ეტაპისთვის სხვა დეტალები უცნობია.

თბილისში ბინის ქურდები დაძრწიან

კრიმინალით სავსე ქალაქი – ყველაზე დაცულ კორპუსებშიც კი ხალხი თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობს. „შაბათის ეთერმა“ მოიპოვა სათვალთვალო კამერების ჩანაწერები, საიდანაც ჩანს, როგორ დაძრწიან ბინების ქურდები კარდაკარ და როგორ ხვდება ხალხს ჩარაზული კარი ღია.

მობინადრეები ყვებიან, რომ მძარცველები კარზე კაკუნით ამოწმებენ, არის თუ არა ვინმე სახლში, პასუხზე გარბიან, თუ სახლში არავინაა, მაშინ მოქმედებაზე გადადიან.

გარყვნილ მასწავლებელს 8-წლიანი ციხე მიესაჯა

„საფარის“ განცხადებით, მასწავლებელს, რომელსაც საკუთარი მოსწავლეების მიმართ განხორციელებული გარყვნილი ქმედება ედებოდა ბრალად, საქალაქო სასამართლომ 8 წელი მიუსაჯა.

საქმეში დაზარალებულად სულ 4 მოსწავლე იყო ცნობილი. მათგან ორის ინტერესებს „საფარის“ იურისტი თამარ ლუკავა იცავდა. ისინი 12 და 12 წლისები არიან.

„საფარი“ ამბობს, რომ მათ დაზარალებულის სტატუსი საქმეში ორგანიზაციის ჩართვის შემდეგ, 2022 წლის მარტში მიიღეს.

– სასამართლომ მასწავლებელი დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის, მეორე ნაწილის ვ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს გარყვნილ ქმედებას დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით 14 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან.

მოზარდი გოგონების მშობლების ინფორმაციით, პოლიციისთვის მიმართვამდე მათ საქმის კურსში ჩააყენეს სკოლის დირექცია, თუმცა ფაქტს დირექტორისგან შესაბამისი რეაგირება არ მოჰყვა. საქმეში არსებობს წერილიც, რომელიც მოსწავლეებმა დირექტორს მისწერეს მასწავლებლის მიერ მათ მიმართ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით, – წერს „საფარი“. ორგანიზაციის ცნობით, ამ ეტაპზე სასამართლო სკოლის დირექტორის ბრალდებაზე მსჯელობს, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო აქვს შეფარდებული. პროკურატურამ მას ბრალი დანაშაულის დაფარვის მუხლით წარუდგინა.

ბუქარესტში ნატოს სამიტი დასრულდა

ბუქარესტში დასრულდა ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა სამიტი. უკანასკნელმა დღემ ფრიად სერიოზული განსჯის საბაბი შექმნა.

სამიტზე ხაზგასმით ითქვა, რომ რუსეთ-უკრაინის ომში უკრაინამ უნდა გაიმარჯვოს. აქამდე დასავლეთი, კერძოდ, ნატო ესოდენ კატეგორიულ ფორმულირებას გაურბოდა. ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი აცხადებდა, რომ მთავარია რუსული აგრესიის შეკავება, ხოლო ამის შემდეგ კონფლიქტში საბოლოო წერტილი დიპლომატიამ უნდა დასვას. ახლა ვითარება შეიცვალა. ფრონტებზე ინიციატივას უკრაინელები ფლობენ. რუსი ოკუპანტები განდევნეს კიევსჩინიდან, ხარკოვსჩინიდან, ხერსონიდან. ტერმინი შეკავებაც შეცვალა გამარჯვებამ.

მეორე საკითხი უკრაინის დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენა და უკრაინელებისათვის წლევანდელი ზამთრის გადატანაა. ყველა გამომსვლელი აღნიშნავდა, რომ პუტინმა კურსი აიღო უკრაინის სითბოს, სინათლისა და გაზის გარეშე დატოვებაზე. რუსეთის დიქტატორს ამ გზით უკრაინის დამორჩილება სურს. როგორც სტოლტენბერგი, ისე სხვა გამომსვლელები ერთსულოვნად აღნიშნავდნენ:

– ეს ბარბაროსობაა!

ამავე დროს, ითქვა ისიც, რომ უკრაინის ტერიტორიის ტოტალური დაბომბვა ევროპისათვისაც უდიდესი გამოწვევაა. უკვე დღეისათვის 8 მილიონი უკრაინელი იძულებული გახდა, სამშობლო დაეტოვებინა. სავარაუდოდ, ახლო მომავალში ეს ციფრი გაიზრდება. უკრაინელთა მილიონიანი მასები ევროპას მიაწყდებიან.

– ჩვენი ამოცანაა, ამ ხალხს მოვუაროთ და გამოვკვებოთ, – ამბობს ნატოს გენერალური მდივანი სტოლტენბერგი.

ძალზე მწვავედ დადგა საკითხი უკრაინის ნატოში გაწევრიანების შესახებ. ის უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა კულებამ დასვა. მას მხარი დაუჭირა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმაც. აღსანიშნავია სტოლტენბერგის პასუხი:

– პრინციპში, უკრაინის გაწევრიანება ნატოში გადაწყვეტილი ამბავია! სამწუხაროდ, ეს დღეს ვერ მოხერხდება. მიმდინარეობს ომი, გაურკვეველია საზღვრები, რომელშიც უკრაინა მოექცევა!

ამავე დროს, სტოლტენბერგმა ხაზი გაუსვა, რომ ნატო უკრაინის გამარჯვებისათვის ყველაფერს იღონებს. უკრაინა 1991 წლის საზღვრებში უნდა აღდგეს. ამის შემდეგ ნატოში გაწევრიანების საკითხიც რეალურად დადგება დღის წესრიგში.

– დიდი მადლობა მხარდაჭერისათვის! ისმის კითხვა: დაგვეხმარება თუ არა ნატო რუსეთზე გამარჯვებაში? გადმოგვცემენ თუ არა პეტრიოტის ტიპის რაკეტებს? – იკითხა კულებამ.

სტოლტენბერგმა პირდაპირი პასუხის გაცემას თავი აარიდა. მიზეზი ნათელია: ნატოს რიგი ქვეყნები, მაგალითად, პოლონეთი, რუმინეთი, ბალტიის სახელმწიფოები უკრაინისათვის პეტრიოტის ტიპის რაკეტების გადაცემას მხარს უჭერენ. სხვები (მაგალითად, გერმანია) ჯერჯერობით კატეგორიული წინააღმდეგნი არიან. პეტროტის ტიპის რაკეტების უკრაინისთვის გადაცემაც ჰაერშია გამოკიდებული.

ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტი დამთავრდა. რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება.

ბაიდენის მოულოდნელი განცხადება

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ მზადაა რუსეთთან მოლაპარაკებები დაიწყოს. ამავე დროს, მან წამოაყენა საკუთარი პირობები: 1) რუსეთმა უნდა დაასრულოს ომი უკრაინასთან და ამ ქვეყნიდან ჯარები გაიყვანოს; 2) რუსეთ-აშშ-ის მოლაპარაკებებს უნდა დათანხმდნენ როგორც აშშ-ის მოკავშირენი ნატოდან, ასევე თავად უკრაინაც.

ამერიკელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ პუტინი ამ პირობებს არ დათანხმდება. რუსეთის დიქტატორმა უკვე თავისად გამოაცხადა ძირძველი უკრაინული ტერიტორიები, კერძოდ, დონბასი, აგრეთვე – ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქები. რუსეთის კონსტიტუციაში უკვე სათანადო შესწორებებიც შეიტანეს.

– აღნიშნული მოსაზრება გამართლდა, – გვამცნობს ტელეკომპანია „პრიამიი“.

კრემლმა უკრაინის ტერიტორიიდან თავისი ჯარების გაყვანაზე უარი განაცხადა. ამის შესახებ განაცხადა პუტინის თანაშემწე პესკოვმა.

– დონბასის, აგრეთვე ხერსონ-ზაპოროჟიეს ოლქების მოსახლეობამ თავისი არჩევანი უკვე გააკეთა! რეფერენდუმზე მათ მხარი დაუჭირეს რუსეთის შემადგენლობაში შესვლას! ამ ტერიტორიებიდან არ გავალთ! – ამბობს პესკოვი.

გენერალი ოსტინი რუსეთს ბრალს სდებს

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა ოსტინმა განაცხადა, რომ რუსეთი უკრაინასთან ომს სასტიკი მეთოდებით აწარმოებს.

– რუსები მიზანმიმართულად ანადგურებენ საცხოვრებელ სახლებს, საავადმყოფოებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებს! ასე ჰიტლერელები იქცეოდნენ, – თქვა ოსტინმა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პროგნოზი

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მთავარი ეკონომისტის ემილი ბრანშტადის აზრით, რუსეთში უახლოესი წლები სტაბილურად ცუდი იქნება. ეკონომიკის ვარდნა 20%-ს მიაღწევს. საეჭვოა, რომ უახლოესი წლების განმავლობაში რუსეთმა თავისი ეკონომიკური პოტენციალი აღიდგინოს.

– კრიზისის დაძლევის ერთადერთი გზა უკრაინაში ომის შეწყვეტაა! – აცხადებს ბრანშტადი.

ამერიკელი სამხედროები ლიტვაში სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს

ლიტვაში დისლოცირებული ამერიკული სამხედრო კონტინგენტი სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი. ამის თაობაზე იტყობინება „რბკ-უკრაინა“.

– მიზეზი უკრაინაში გაჭიანურებული ომი და რუსული პროვოკაციების საფრთხეა, – აცხადებს „რბკ-უკრაინა“.

იტალიის მთავრობის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

იტალიის მინისტრთა კაბინეტმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. მან მხარი დაუჭირა უკრაინისადმი დახმარების გაგრძელებას.

– უკრაინისადმი დახმარება მთელი 2023 წლის განმავლობაში გაგრძელდება, – ნათქვამია გადაწყვეტილებაში.

მაკრონი ისევ უცნაურად იქცევა

საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა განაცხადა, რომ რუსეთ-უკრაინის ომს საზავო მოლაპარაკებებმა უნდა დაუსვან წერტილი. რუსეთმა კი უსაფრთხოების გარანტიები უნდა მიიღოს. ეს უწინარეს ყოვლისა ნატოს გაფართოება-არგაფართოების საკითხებს შეეხება. ამავე დროს, საფრანგეთის პრეზიდენტმა დაამატა, რომ თავად უკრაინამ უნდა გადაწყვიტოს, როდის დაიწყოს მოლაპარაკებები რუსეთთან.

უკრაინის მმართველი პარტია „ხალხის მსახურის“ ხელმძღვანელმა არახამიამ განაცხადა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებების წინააღმდეგნი არ არიან, მაგრამ მოსკოვმა რიგი მოთხოვნები უნდა შეასრულოს.

„ხალხის მსახურის“ ლიდერს უპასუხა ბელარუსის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ. მან პუტინის სიტყვები გაახმოვანა:

– კიევმა დასავლეთის მხარდაჭერით მიუღებელი მოთხოვნები წამოაყენა. ეს იმას ნიშნავს, რომ არც უკრაინას, არც მის მფარველებს დასავლეთში მშვიდობა არ სურთ! – ამტკიცებს ლუკაშენკო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საზოგადოება

რუსთავის თეატრი 55 წლისაა



რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის მიერ დაარსებული რუსთავის თეატრი 55 წლისაა. საიუბილეო თარიღი თეატრის შემოქმედებითმა ჯგუფმა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებით აღნიშნა:

გიგა ლორთქიფანიძის სახელობის პროფესიულ-დრამატულ თეატრში გოგი ქავთარაძის სახელობის შემოქმედებითი სივრცე გაიხსნა, სადაც რუსთავის თეატრის პირველი სპექტაკლის „სირანო დე ბერჟერაკის“ კოსტიუმების გამოფენა მოეწყო.

თეატრის დარბაზში საიუბილეო საღამოც გაიმართა, რომელშიც, რუსთავის თეატრის მსახიობებთან ერთად, სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“ და ცნობილი მუსიკოსები მონაწილეობდნენ.

დაარსებიდან 55 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სეზონი თეატრალურმა დასმა რეჟისორ სოსო ნემსაძის ხელმძღვანელობით 100-ზე მეტი ღონისძიებით, წარმატებული საგასტროლო ტურითა და კომედიის საერთაშორისო ფესტივალით აღნიშნა.

რუსთავის თეატრი 1967 წელს გაიხსნა და ის მარჯანიშვილის თეატრიდან წამოსულმა ახალგაზრდა მსახიობებმა გიგა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით შექმნეს.

პირველი პრემიერა 30 ნოემბერს შედგა. გიგა ლორთქიფანიძემ მაყურებელს ედმონდ როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი“ წარუდგინა, რომელშიც მთავარ როლებს ოთარ მეღვინეთუხუცესი, მალხაზ გორგილაძე, გურანდა გაბუნია, ქეთევან კიკნაძე, თენგიზ მაისურაძე და ნოდარ მგალობლიშვილი ასრულებდნენ.

რუსთავის თეატრის 55 წლის იუბილეს ესწრებოდა გიგა ლორთქიფანიძის მეუღლე, მსახიობი ქეთევან კიკნაძე და შვილი, ასევე მსახიობი ნანა ლორთქიფანიძე. საიუბილეო ღონისძიებაზე რეჟისორის პირადი ნივთებიც გამოიფინა.

ნანა ლორთქიფანიძე, გიგა ლორთქიფანიძის შვილი, მსახიობი:

– არაჩვეულებრივი გამოფენა და შესანიშნავი საღამო მიეძღვნა გიგა ლორთქიფანიძესა და რუსთავის თეატრის 55 წლის იუბილეს. ემოციებს ვერ ვიკავებდი მთელი საღამო. მადლობა რუსთავის თეატრსა და რუსთაველებს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

მამაკაცმა პლაჟზე ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი იპოვა და პატრონს დაუბრუნა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ სენტ-ოგასტინში განძისმაძიებელმა პლაჟზე დიდი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი იპოვა და მის მფლობელს დაუბრუნა.

37 წლის ჯოზეფ კუკი პლაჟზე ლითონმაძიებლით დადიოდა და ბრილიანტისთვლიანი ოქროს ბეჭედი იპოვა. ამის ამსახველ ვიდეოზე ჩანს, როგორ თხრის ის ქვიშას და წამოიძახებს: „დაუჯერებელია, ოჰო! ერთი შეხედე ამას! ღმერთს გეფიცებით, ეს ყველაზე დიდი ბრილიანტია მათ შორის, რომელიც კი ოდესმე პლაჟზე მიპოვია“.

მან მაშინვე გამოაქვეყნა ამის ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელებში და დარეკა ადგილობრივ საიუველირო ნაკეთობების მაღაზიებში იმ პიროვნებების მოსაძიებლად, რომლებმაც, სავარაუდოდ, ბეჭედი დაკარგეს. სპეციალისტებმა მამაკაცს აცნობეს, რომ მის მიერ ნაპოვნი სამკაულის ფასი 40 ათას დოლარს შეადგენდა. აღმოჩნდა, რომ ის პლატინისგან იყო დამზადებული და მსხვილი ბრილიანტი ამშვენებდა.

ორი კვირის შემდეგ კუკის ტელეფონზე უცნობი ნომრიდან რამდენიმე ზარი შევიდა. მან თავიდან ამ ზარებს ყურადღება არ მიაქცია, თუმცა შემდეგ იფიქრა, რომ ის ნომერი შესაძლოა დაკარგული ბეჭდის მფლობელს ეკუთვნოდა. საბოლოოდ ის ქალაქ ჯექსონვილში მცხოვრებ წყვილს დაუკავშირდა. მათ განუცხადეს, რომ მსგავსი ბეჭედი დაკარგეს.

– ისინი უზომოდ ბედნიერები იყვნენ, ქალმა კი განაცხადა, რომ ვერ დაეჯერებინა, მისი ბეჭედი რომ მოიძებნა და ატირდა, – განაცხადა განძისმაძიებელმა, რომელიც სამი კვირის შემდეგ შეხვდა ოჯახურ წყვილს და დაკარგული ბეჭედი დაუბრუნა.

ქურდი ძარცვის მცდელობისას კარში გაიჭედა და დაიღუპა

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის ქალაქ ვარანასის მახლობლად მდებარე სოფელში ქურდი კარში იმ დროს გაიჭედა და დაიღუპა, როდესაც დანაშაულის ჩადენას ცდილობდა.

30 წლის ჯავედი შეეცადა საქსოვ-სართავ ფაბრიკაში შეეღწია, რომელიც იმის გამო, რომ შეკვეთები არ ჰქონდა, ორი დღის განმავლობაში დაკეტილი იყო.

ჯავედმა არ იცოდა, რომ კარის თავზე საკეტი იყო დაყენებული და ამის გამო კარის ჭრილში გაიჭედა. მისი თავი შიგნით გაიჭედა, ხოლო სხეულის დანარჩენი ნაწილი გარეთ დარჩა. ამ ყოველივეს შედეგად კი მამაკაცი გარდაიცვალა. გარკვეული დროის შემდეგ მისი ცხედარი პოლიციამ აღმოაჩინა და პროზექტურაში გადაასვენა სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა მომხდარი ფაქტის გამოძიება დაიწყეს.

ქმარი ცოლს სექსის დროს დაღუპული მისი საყვარლის ცხედრის მოშორებაში დაეხმარა

ინდოეთის კარნატაკას შტატის ქალაქ ბანგალორში ქალს მეუღლე დაეხმარა სექსის დროს დაღუპული მისი საყვარლის ცხედრის თავიდან მოშორებაში.

67 წლის ბიზნესმენს სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა 35 წლის დიასახლისთან. მამაკაცმა ნათესავებს უთხრა, რომ რძლის მოსანახულებლად მიდიოდა, სინამდვილეში კი საყვარელს მიაკითხა სახლში და მასთან სექსი გააჩაღა.

სქესობრივი აქტის დროს მამაკაცს ეპილეფსიური შეტევა დაემართა და გარდაიცვალა. ქალმა მომხდარის შესახებ შესაბამის უწყებებს არ აცნობა, ვინაიდან საკუთარი პატიოსანი სახელის შებღალვას მოერიდა. ამის სანაცვლოდ, მან ქმარს და ძმას დაურეკა და დახმარება სთხოვა. სამივემ მამაკაცის ცხედარი პლასტიკატის ტომარაში მოათავსა და მიყრუებულ ადგილას გადააგდო.

მომხდარის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც ბიზნესმენის ნათესავებმა მისი გაუჩინარების თაობაზე პოლიციაში განაცხადეს. პოლიციელები მისი ტელეფონის ზარებს გაეცნენ და დაადგინეს, რომ მას საყვარელი ჰყავდა და მასთან ხშირად სტუმრობდა.

პოლიციამ ქალი დაკითხა და მან აღიარა, რომ მისი ცხედარი თავიდან მოიშორა, ვინაიდან არ სურდა, რომ ვინმეს მათი ურთიერთობის შესახებ შეეტყო. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას ელიან, იმაში დასარწმუნებლად, რომ ქალმა სიმართლე აღიარა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

თბილისის დინამო საქართველოს ჩემპიონი მეცხრამეტედ გახდა

დასრულდა ეროვნული ლიგის წლევანდელი გათამაშება და საქართველოს ჩემპიონი თბილისის დინამო გახდა. ქართული ფეხბურთის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა ეს მეცხრამეტედ მოახერხა. ასევე დალაგდა ყველა ადგილი და დარჩა მხოლოდ ფლეი აუტები.

დინამო (თბ)-გაგრა 2:1

თბილისი. დინამო ახენა.

1:0 სხირტლაძე (28), 2:0 იმრანი (66), 2:1 მაქაცარია (73)

დინამო: კუტალაძე, მალი, კალანდაძე, ხვადაგიანი, მექვაბიშვილი, იმრანი (კუცია 73), სხირტლაძე (მაისურაძე 76), მოისწრაფიშვილი (ოსიყმაშვილი 46), კირკიტაძე (ბილენკი 60), კობოური, კამარა (ოდიშარია 73)

გაგრა: ვორობეი, ნოზაძე, სეხნიაშვილი, შონია (რიაზანცევი 84), სულთანიშვილი, ქობულაძე, შეწირული (იაძე 77), ფარულავა (დაფე 84), ლომინაძე (ლომთაძე 60), გვიშიანი, მაქაცარია

თბილისის დინამო, მოგების შემთხვევაში, ჩემპიონი ხდებოდა და საქმე ბოლომდე მიიყვანა კიდეც. გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა დინამო არენაზე გაგრას 2:1 სძლია.

თბილისელთა ორივე გოლი ლამაზი იყო. ორივე შორიდან გავიდა: პირველ ტაიმში კაპიტანმა დავით სხირტლაძემ გაიტანა, მეორე ტაიმის შუაში კი ულად-ომარ იმრანმა მეორე დაამატა. გაგრის ფორვარდმა თამაზ მაქაცარიამ 73-ე წუთზე შეამცირა სხვაობა.

საბოლოოდ, დინამომ საჩემპიონო თამაში მოიგო, გაგრა კი ბოლოსწინა ადგილზე გავიდა: მართალია, სიონთან ერთად 36-36 ქულა დააგროვა, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში სიონს უპირატესობა ჰქონდა.

გაგრას ფლეი ოფი მოუწევს სპაერთან, რომელიც ლიგა 2-ში მეორე ადგილზე გავიდა.

გიორგი ჭიაბრიშვილის სამი სხვადასხვა გუნდი გახდა საქართველოს ჩემპიონი: ზესტაფონი (2012), საბურთალო (2018), თბილისის დინამო (2022).

დინამოელთა საჩემპიონო სეზონები კი ასე გამოიყურება: 1990, 1991, 1991-92, 1992-93. 1993-94, 1994-95, 1995-96, 1996-97, 1997-98, 1998-99, 2002-03, 2004-05, 2007-08, 2012-13, 2013-14, 2015-16, 2019, 2020, 2022.

რომან ფიფია, დინამოს პრეზიდენტი:

– სასიხარულოა, რომ ტიტული დავიბრუნეთ. ახლა მთავარია, გავიაროთ კარგი შეკრება და კარგი ტრანსფერები განვახორციელოთ. უნდა მოვემზადოთ ჩემპიონთა ლიგის თამაშებისთვის. მადლობა ყველას, ვინც გუნდს გულშემატკივრობდა. თბილისის დინამო დამსახურებული ჩემპიონია.

გიორგი ჭიაბრიშვილი, დინამოს მთავარი მწვრთნელი:

– რთული წელი გვქონდა და

ჩემპიონობაც ასევე რთული გამოდგა. ბათუმის დინამოს სახითაც ძალიან ღირსეული მოწინააღმდეგე გვყავდა. მთელი სეზონის განმავლობაში ორივე ვცდილობდით ჩემპიონობის მოპოვებას და, ბედნიერი ვარ, რომ ეს ჩვენ მოვახერხეთ.

დამსახურებული წარმატებაა, ყველამ დიდი შრომა გასწია. მადლობა ყველას, ვინც ამაში თავისი როლი ითამაშა – სამწვრთნელო სტაფს, ფეხბურთელებს, ხელმძღვანელობასა და, რა თქმა უნდა, გულშემატკივრებს.

გაძლიერება ყველა გუნდს სჭირდება და გამონაკლისები არც ჩვენ ვართ. ვფიქრობთ, გუნდი კარგი ლეგიონერებითა და საქართველოში ჩემპიონატიდან გამორჩეული ფეხბურთელებით დავაკომპლექტოთ. მთავარია, რომ იქაც შედეგი ვაჩვენოთ და ჯგუფურ ეტაპზე გავიდეთ.

ყველას ეს მიზანი გვაქვს და ვეცდებით, ამას მივაღწიოთ. ჩვენ ცდას არ დავაკლებთ. მოთამაშეებით გაძლიერებასაც ვეცდებით და თავად ჩვენი თამაშის გაუმჯობესებასაც.

დინამო (ბთ)-ტორპედო 2:2

ბათუმი. აჭახაბეთ ახენა

1:0 ფანცულაია (35), 1:1 ბუღრიძე (42), 1:2 არაბიძე (66პ), 2:2 ვაწაძე (90)

დინამო: ბეგაშვილი, ჯიღაური (ნავალოვსკი 66), ფალავანდიშვილი, ფანცულაია (ვაწაძე 66), მამუჩაშვილი, რეხვიაშვილი (აზაკცი 79), მ.კობახიძე, რადინი (ზარია 68), ღუდუშაური, ჩაბრაძე, ფლამარიონი

ტორპედო: კვასხვაძე, მონტეირო (აბულაძე 46), ცინცაძე, გიგაური (მანჯგალაძე 46), შულაია (ქიმაძე 58), არაბიძე, ბუღრიძე, მჭედლიშვილი (გეგეჭკორი 46), შერგელაშვილი, გოგლიჩიძე, კაბალიერო (თ.ახვლედიანი 46)

ბათუმელებს უნდა მოეგოთ და თან გაგრის იმედზე უნდა ყოფილიყვნენ, თუმცა საბოლოოდ ასე არ მოხდა: დინამო ბათუმი მეორე ადგილზე გავიდა. არადა, ზაფხულისთვის 9-ქულიანი ჰანდიკაპით ლიდერობდნენ, მაგრამ...

ტორპედოსთან შეხვედრა 2:2 დასრულდა: გია გეგუჩაძის გუნდი 35-ე წუთზე გიორგი ფანცულაიამ დააწინაურა, როცა მეკარისგან მოგერიებულ ბურთს დაამატა. პირველი ტაიმის ბოლოს კი ირაკლი ბუღრიძემ ახლოდან ერთ შეხებაში დარტყმით გაათანაბრა.

მეორე ტაიმის შუაში გიორგი არაბიძის პენალტმა ქუთაისელები დააწინაურა, მაგრამ მსაჯის დამატებულ წუთებზე მათე ვაწაძემ ახლოდან დაასწრო ყველას და 2:2.

ტორპედო მეხუთე ადგილზე გავიდა, მაგრამ წინ ლოკომოტივი 2-თან თასის ფინალი ელის.

დილა-სამგურალი 3:0

გოხი. თენგიზ ბეჩანაძე

1:0 კაპანაძე (30), 2:0 გეილი (69), 3:0 სპანდერაშვილი (90)

დილა: ბულისკერია, ჩიტეიშვილი, ჭიჭინაძე, სანტოსი, გეილი (სპანდერაშვილი 73), თ.კაპანაძე (დრამე 81), ბატიუშინი (ნონდი 64), ვიქტორი, ძოწენიძე, სილვა, მადინგა (გაფრინდაშვილი 64)

სამგურალი: შოვნაძე, ი.ახვლედიანი (ს.კუხიანიძე 70), პატარკაციშვილი, გილმორი, მაისაშვილი, რუხაძე, კალანდარიშვილი, შ.ბურჯანაძე (ბაშალეიშვილი 70), კიკაბიძე, ნიქაბაძე (ჩიხრაძე 89), ჯერალდო (გავაშელიშვილი 70)

ამ მატჩში მესამე ადგილისა და, შესაბამისად, კონფერენციის ლიგაზე გასვლის საკითხი წყდებოდა. დილას მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა, ხოლო სამგურალს ფრეც ხელს აძლევდა. საბოლოოდ, გორელებმა 3:0 მოიგეს და კვლავაც მოიპოვეს ევროსაგზური – ზედიზედ მესამედ

აი, სამგურალს კი ევროტურნირებამდე კვლავ ცოტა დააკლდა. წინა ორ სეზონში თასის ფინალები წააგო, ამჯერად კი ბოლო ტურში მოეცარა ხელი.

დილის სამივე გოლი კომბინაციური თამაშის შედეგი იყო: ანდრი დემჩენკოს გუნდიდან გოლები თორნიკე კაპანაძემ, ტიერი გეილიმ და ნუგზარ სპანდერაშვილმა გაიტანეს.

საბურთალო-თელავი 0:1

ხუსთავი. ტექნიკური ცენტრი

0:1 ჯგერენაია (75სკ)

საბურთალო: ქურდაძე, ჯგერენაია, ი.ტაბატაძე, ქარდავა (ტალახაძე 83), გულიაშვილი, ჯინჯოლავა, პარუნაშვილი, სიხარულიძე, ვინისიუსი (მამაცაშვილი 76), ჩადუნელი, ამბროსიძე

თელავი: თანდილაშვილი, ბერიაშვილი, ზ.თევზაძე, ფირანაშვილი (კოხრეიძე 58), პავიშიჩი, ბ.ქავთარაძე (რეკიში 68), ჯიქია, ქოჩლაძე (პარკინაშვილი 76), ბაჩიაშვილი (გიგაშვილი 76), მუჯირი (ყაველაშვილი 68), ჩუკვურა

გაძევება: ტაბატაძე (90)

თელავს ქულები სჭირდებოდა, რათა ფლეი ოფის ზონას ასცდენოდა და ეს მოახერხა. 75-ე წუთზე თელაველთა ფლანგელმა მირიან ჯიქიამ ჩააწოდა და საბურთალოელ გიორგი ჯგერენაიას ბურთი საკუთარ კარში აეჭრა – 0:1.

თელავი მეშვიდე ადგილზე გავიდა, ხოლო საბურთალო – მეექვსეზე. საბურთალოელებმა სეზონის ბოლო ნაწილი სუსტად ჩაატარეს.

სიონი-ლოკომოტივი 5:2

ბოლნისი. თამაზ სტეფანია

1:0 ასათიანი (10), 2:0 ფოცხვერია (14პ), 2:1 თავზარაშვილი 23), 3:1 დოობი (26), 4:1 ქოჩაკიძე (53), 5:1 უგრეხელიძე (64), 5:2 ბუშელაშვილი (65)

სიონი: გ.კ.უგრეხელიძე, კარვალიუ, ასათიანი, ჯავაშვილი, დოობი (მესიაჩენკო 46), ჩაგანავა, ფოცხვერია, ქოჩაკიძე, ჟორდანია, გ.უგრეხელიძე, ო.კობახიძე

ლოკომოტივი: გოშაძე, ჯაფარიძე, თავზარაშვილი (ოქროპირიძე 61), ძებნიაური (ბაბლუანი 46), ბუშელაშვილი, ქველაძე, კალანდაძე, დიასამიძე (აიდარაშვილი 46), აბჟანდაძე (ლომინაძე 73), შაშიაშვილი, ლ.უგრეხელიძე (ზოსიაშვილი 61)

ბოლნისში შვიდგოლიანი მატჩი შედგა – სიონმა 5:2 მოუგო აუტსაიდერ ლოკომოტივს, რომელმაც სეზონი 8 ქულითა და 101 გაშვებული გოლით დაასრულა.

ლუკა ასათიანის თავურითა და ივან ფოცხვერიას პენალტით სიონი მე-14 წუთისთვის უკვე 2:0-ს იგებდა. შემდეგ ლოკოდან ლევან თავზარაშვილმა შეამცირა სხვაობა, რასაც ბოლნისელთა განელი რამინ დოობის გოლი მოჰყვა და ტაიმი 3:1 დასრულდა.

მეორე ტაიმში მიხეილ ქოჩაკიძის გოლმა სიონის უპირატესობა გაზარდა. ამას 64-ე წუთზე მოჰყვა გიორგი უგრეხელიძის გატანილი – 5:1. ერთ წუთში ლოკომოტივის ფეხბურთელმა რევაზ ბუშელაშვილმა საკუთარი გუნდის შეტევა ახლოდან დარტყმით დაასრულა – 5:2.

საინტერესო ფაქტი: ამ მატჩში ხუთმა ფეხბურთელმა ეროვნულ ლიგაში პირველად გაიტანა გოლი: დოობმი, უგრეხელიძემ, ქოჩაკიძემ, თავზარაშვილმა და ბუშელაშვილმაც.

სიონი მერვე ადგილზე გავიდა და ფლეი ოფში შეხვდება ლიგა 2-ის მესამეადგილოსან სამტრედიას.

საბოლოო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	36	24	8	4	73-29	80
2.დინამო (ბთ)	36	23	8	5	87-34	77
3.დილა	36	17	8	11	48-35	59
4.სამგურალი	36	15	12	9	55-44	57
5.ტორპედო	36	15	9	12	48-48	54
6.საბურთალო	36	13	8	15	51-49	47
7.თელავი	36	8	15	13	29-36	39
8.სიონი	36	8	12	16	38-60	36
9.გაგრა	36	9	9	18	36-57	36
10.ლოკომოტივი	36	1	5	30	28-101	8

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სუპერმეოთხედფინალი: ნიდერლანდები არგენტინაზე გავიდა

ნიდერლანდები-აშშ 3:1

დოჰა. ხალიფა სთედიუმი

1:0 დეპაი (10), 2:0 ბლინდი (45), 2:1 რაიტი (76), 3:1 დუმფრისი (81)

ნიდერლანდები: ნოპერტი, ტიმბერი, ვან დეიკი, აკე (დე ლიხტი 90), დუმფრისი, დე როონი (ბერგვაინი 46), ფ.დე იონგი, ბლინდი, კლაასენი (კუპმაინერსი 46), გაკპო (ვერგოსტი 90), დეპაი (სიმონსი 82)

აშშ: ტერნერი, დესტი (იედლინი 75), ზიმერმანი, რიმი, რობინსონი (მორისი 90), მაკკენი (რაიტი 67), ადამსი, მუსა, ვეა (აარონსონი 67), ფერეირა (რეინა 46), პულიშიკი

კატარში მიმდინარე მუნდიალის პირველი მეოთხედფინალისტი ნიდერლანდების ნაკრებია. ლუის ვან გაალის შეგირდებმა ჯგუფური ეტაპი არცთუ დამაჯერებლად, მაგრამ მაინც იოლად მოიგეს. ძლიერი გუნდი არც ფლეი ოფის პირველ სტადიაზე შეხვდათ და აქაც იოლად იმარჯვეს.

მატჩის ბედი, ფაქტობრივად, პირველივე ტაიმში გადაწყდა: ნიდერლანდებმა ორი ძალიან მსგავსი გოლი გაიტანა: ჯერ ანგარიში მემფის დეპაიმ გახსნა, მერე დელეი ბლინდიმ სხვაობა ორამდე გაზარდა. ორივე შემთხვევაში ასისტენტობა დენზე დუმფრისმა გასწია.

მეორე ტაიმში ამერიკელები ჰაჯი რაიტის გოლით თითქოს თამაშში დარჩნენ, მაგრამ სიამოვნება მალე იმავე დუმფრისმა წაართვა, რომელმაც საგოლე პასებს ამჯერად გოლი მიაყოლა – 3:1.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – დენზელ დუმფრისი

აქ მჩხიბაობა არ დაგვჭირდება – დუმფრისი ორივე გუნდში გამორჩეული იყო და მცველისგან ასეთი სარგებლიანი სტატისტიკა (გოლს პლუს 2 საგოლე პასი) მსოფლიო ჩემპიონატებზე უნგრეთ ტოტს 1982 წელს ჰქონია, როდესაც მისმა გუნდმა სალვადორი 10:1 დაამარცხა, დუმფრისმა კი სამ გოლში მოახერხა.

არგენტინა-ავსტრალია 2:1

ეთ-ჰაიანი. აჰმედ ბინ აღი

1:0 მესი (35), 2:0 ალვარესი, 2:1 ფერნანდესი (77სკ)

არგენტინა: ე.მარტინესი, მოლინა (მონტიელი 80), ოტამენდი, რომერო, აკუნია (ტალიაფიკო 72), ფერნანდესი, დე პაული, მაკ ალისტერი (პალასიოსი 80), გომესი (ლის.მარტინესი 50), მესი, ალვარესი (ლაუ.მარტინესი 71)

ავსტრალია: რაიანი, როულსი, დეგენეკი (კარაჩიჩი 72), სუტარი, ბეხიჩი, მუი, ირვინი, მაკგრი (გუდვინი 58) , ბაკუსი (ჰრუსტიჩი 58), ლეკი (კოული 72), დიუკი (მაკლარენი 72)

ნიდერლანდებს მეოთხედფინალში არგენტინა შეუწყვილდა. ლიონელ სკალონის გუნდმა ბურთის კონტროლი თავიდანვე დაიწყო, ხოლო ავსტრალია თავს იცავდა. პირველ ტაიმში სახიფათო მომენტებამდე საქმე არ მიდიოდა. ავსტრალიელები უშეცდომოდ იდგნენ დაცვაში.

თუმცა 35-ე წუთზე მესიმ კუნძულელების დაცვაში ნაპრალი ნახა, ბურთი თავის სტილში, ცაციათი გააძვრინა და მეთიუ რაიანს დაბალ კუთხეში გაუტანა.

ეს მესის პირველი გოლია მუნდიალების ფლეი ოფის სტადიაში. ჰო, იმასაც გეტყვით, რომ არგენტინელ გენიოსს უკვე 1000 მატჩი მოუგროვდა.

დავუბრუნდეთ თამაშს: მეორე ტაიმში მეკარემ დე პაულის მოტყუება ცადა, მაგრამ იქვე მყოფმა ალვარესმა დასაჯა – 2:0.

ავსტრალიელებმა მოულოდნელად საპასუხო გოლი გაიტანეს და თამაშში დარჩნენ. კუნძულელები გათანაბრებას ცდილობდნენ, დაცვა მოაშიშვლეს და არგენტინას კიდევ რამდენიმე გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ვერ მოახერხეს და ბეწვზეც გადარჩნენ – ავსტრალიამ ბოლო წამზე გამთანაბრებელი მომენტი გაანიავა და ტურნირი დატოვა.

ნიდერლანდები-არგენტინა 9 დეკემბერს გაიმართება.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ლეო მესი

არგენტინა მთავარი ვარსკვლავის გარეშე აშკარად ვერ იქნება ფავორიტი, მესისთან ერთად კი ბევრის მიღწევა და გაკეთება შეუძლია. ლეომ ამჯერადაც მთავარი როლი ითამაშა და მისი დამსახურებაა, ახლა არგენტინელები მეოთხედფინალში რომ არიან.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოხვოხდი ბ



შვეულად: 1. ღატაკი, უსახლკარო ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული დიდი თუთიყუში; 3. იაპონური მოტოციკლეტი; 4. ჯავშნიანი ქვეწარმავალი; 5. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 6. დაბალხარისხოვანი თამბაქო; 7. თხზულება „აბდულმესიანის“ ავტორი; 10. მდინარე საქართველო-რუსეთის საზღვარზე; 11. ბრიტანეთის ნაწილი; 12. უგემოვნო სანახაობა, წარმოდგენა; 13. ჩაის ნორჩი ყლორტი; 16. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის ქორწინების შთამომავალი; 18. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 19. სხვადასხვა ჯიშის ნარევი; 21. კასპიის ზღვის აუზის მდინარე საქართველოში; 24. ქართული ხალხური თამაში ქამრებით.

თარაზულად: 1. დიდი რელიგიური დღესასწაული სვანეთში; 3. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 8. მექსიკელი ფერმწერი; 9. ფოროვანი მინერალი, სამშენებლო მასალა; 14. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე; 15. მინერალური წყალი სამეგრელოში; 17. პერუს დედაქალაქი; 20. პერანგის ქართული სახელწოდება; 22. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა; 23. წარმატებისთვის, დამსახურებისთვის გაცემული ოფიციალური დოკუმენტი; 25. სამჭედლო იარაღი; 26. ძვირფასი ლითონი; 27. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 28. ოსური ხაჭაპური.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. უემბლი; 2. ცანა; 3. ჭაშნაგირი; 4. დანტე; 5. ჭიათურა; 8. ტერასა; 9. ინფანტინო; 12. ბაზაზი; 14. ჯორჯია; 16. უბისა.

თარაზულად: 1. უფლისციხე; 6. კამპრადი; 7. მარტენი; 9. ისინდი; 10. პერუ; 11. მასტიფი; 13. ჰიჯრა; 15. კაკადუ; 17. ჭიანური; 18. ნაპოლი; 19. კორიფე; 20. პაროდია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ყოჩი; 2. ახო; 3. ლილახანა; 4. რუ; 5. კაჭარავა; 6. ცემი; 7. ბარცინო; 10. ხაჭო; 11. სეგიდელია; 12. მარაკანა; 13. ფითი; 16. არაგვი; 18. ალაბამა; 19. ოდისეა; 21. რენტა; 24. დირსი.

თარაზულად: 1. ყეენობა; 3. ლემური; 8. მადერა; 9. ჩოხა; 14. აჭარა; 15. გიშერი; 17. რომა; 20. ნადური; 22. ვალიო; 23. დეკადა; 25. ბრა; 26. გუჩი; 27. აბიო; 28. რეგისტანი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7056

ევრო — 2.8466

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3163

100 რუსული რუბლი — 4.3642

ამინდის პროგნოზი 5 დეკემბრისათვის

ჰოლანდია მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავიდა

ჰოლანდიის ნაკრებმა მერვედფინალში აშშ დაამარცხა ანგარიშით 3:1 და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ვან გაალის გუნდი საფრანგეთს დაუპირისპირდება. ჰოლანდიელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და მათი წარმატება კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა. ვან გაალმა მატჩის შემდეგ თავისი ფეხბურთელები შეაქო და თქვა, რომ მათ საუკეთესო თამაში აჩვენეს.

მესი: „არგენტინის გამარჯვებით ბედნიერი ვარ“

არგენტინის ნაკრების ფორვარდმა ლიონელ მესიმ ავსტრალიის დამარცხების შემდეგ თქვა, რომ თავისი გუნდის გამარჯვებით ბედნიერია და სურს, არგენტინამ მსოფლიო ჩემპიონატი მოიგოს: „დღეს წინ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით და ამის გამო ძალიან ბედნიერი ვარ. კარგი შეხვედრა ჩავატარეთ, თუმცა შეგვეძლო, უფრო მეტი გოლი გაგვეტანა. წინ ჰოლანდიასთან მატჩი გველის“.

ტომას მიულერი: „ყველანი იმედგაცრუებული ვართ“



გერმანიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატი ნაადრევად დატოვა და ამ თემაზე საუბრები არ წყდება. ამჯერად კომენტარი ტომას მიულერმა გააკეთა, რომელმაც თქვა, რომ გერმანიაში ყველა იმედგაცრუებულია და მათ კარგად ესმით მარცხის ფასი: „სამწუხაროა, რომ სახლში ნაადრევად დავბრუნდით, მაგრამ ეს რეალობაა, რომელსაც უნდა შევეგუოთ. დასკვნებს თუ გამოვიტანთ, ეს მომავალში აღარ განმეორდება“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

...

წყვილი ჩაბნელებულ ქუჩაში მიდის. ამ დროს საშინელი შესახედაობის მოზრდილი ძაღლი გამოვარდა. ყმაწვილი ადგილზე გაშეშდა. გოგონა კი ეუბნება:

– ეს ჩემი მეზობლის ძაღლია, მიცნობს, ნუ გეშინია!

– მე ძაღლების არ მეშინია. საერთოდ არაფრის მეშინია! კარგად დაიმახსოვრე!

– კი, ეს უკვე შევნიშნე. მოდი, ჩემთან შევიდეთ. მშობლებს გაგაცნობ, ჩაი დავლიოთ, შარვალს გამოიცვლი...

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, მუსიკა სექსი-ვითაა!

– ჰო, რა თქმა უნდა, როგორც შენ შემთხვევაში, ხან ნოტებს ვერ უწყობ, ხან სიმღერაა ხანმოკლე.

•••

ქალი სოციალურ ქსელში წერს:

– არ ვაპირებ იმის დაწერას, რომ ჩემი ქმარი მივლინებაშია და სახლში მარტო ვარ, თორემ მამაკაცების რიგი დადგება ვარსკვლავის ქუჩის 15 ნომერში, მესამე სადარბაზოს ნომერ 18 ბინის კართან, რომელიც ღიაა...

•••

ცოლი ქმარს შესჩივის:

– ჩვენი შვილი სულ წავიდა ხელიდან...

– რა მოხდა?

– მე საერთოდ ყურს არ მიგებს და ათასი სულელის ლაპარაკს უსმენს. მიდი, დაელაპარაკე...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბიძინა მახარაძე შემოქმედებით საღამოს გამართავს

იუმორისტი ბიძინა მახარაძე მონატრებულ მაყურებელს 9 დეკემბერს შეხვდება.

მისი შემოქმედებითი საღამო საჯარო ბიბლიოთეკის აუდიტორიაში გაიმართება.

ბიძინა მახარაძე შეკრებილ საზოგადოებას ძველ და ახალ იუმორისტულ ნომრებს წარუდგენს.

ხელოვანის გადაწყვეტილებით, მის საღამოზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

სიღნაღის გალავანი სატვირთო მანქანამ დააზიანა

სიღნაღის ისტორიული გალავანი სატვირთო მანქანამ ისე დააზიანა, რომ მთლიანად ჩამოიქცა. მანქანის მძღოლს 250-ლარიანი ჯარიმა გამოუწერეს, რამაც ქართველი საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია.

გიორგი სავანელი, რეჟისორი:

– სიღნაღის გალავნის ერთ-ერთ ცენტრალურ თაღს ტრაილერი შეეჯახა და მთლიანად ჩამოაქცია.

სიღნაღის გალავანი ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რომლის დაზიანებისთვის 250-ლარიანი ჯარიმა გამოუწერეს მძღოლს.

ერეკლე „პაპა“ ძალიან რომ გიყვართ და გეამაყებათ, ეს იმის შედეგია, ხომ (სიღნაღის გალავანი მე-18 საუკუნეში ერეკლე II-ის მიერაა აშენებული)?

კულტურული მემკვიდრეობა 250 ლარი გვიღირს, ხომ?

და ამ ამბავში მხოლოდ მძღოლია, არა, დამნაშავე?

მერია როგორ იცავდა ძეგლს? ტრანსპორტის დასაშვები სიმაღლის სანიშნე იყო განთავსებული?

ისტორიულ ნაწილში რატომ არის დაშვებული ამ ჯართი ტრაილერების გადაადგილება?

მერია რა პასუხისმგებლობას იღებს, რომ იგივე აღარ განმეორდეს?

მაქსიმუმ, ამ თაღს ახალი აგურ-ბეტონით რომ აღადგენენ, ეგ არის გამოსავალი?

შემორჩენილი კულტურული მემკვიდრეობა შეიძლება გულგრილობას, უმეცრებასა და სხვა მერკანტილურ ფაქტორებს შევწიროთ?

სამწუხარო ფაქტია, რომ კულტურული მემკვიდრეობა სრულიად უპატრონოდაა სიღნაღში. ამ რეციდივის გარდაც ასეა, რაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეინიშნება და ვიცი, რადგან სიღნაღში სახლი მაქვს და ყოველ ზაფხულს მიწევს ჩასვლა, როცა ვხედავ „კულტურაზე ზრუნვის მიღწევებს“.

მიზეზი არაერთია, უპირველესად კი – არაპროფესიონალიზმი და პარტიული უმაქნისებით გამოტენილი ადმინისტრაციული უწყებები და ააიპ-ები.

თუმცა, გელათის შემყურე, რაღაა გასაკვირი.

მსახიობი ნუგზარ შარია გარდაიცვალა

მსახიობი ნუგზარ შარია 81 წლის ასაკში გერმანიაში გარდაიცვალა. იგი უცხოეთში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან წავიდა. ჯერ პარიზში ცხოვრობდა, შემდეგ ნიუ იორკში გადასახლდა, სადაც, რადიოში მუშაობის პარალელურად, ნიუ იორკისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებში კინორეჟისურაზე ლექციებს კითხულობდა.

რამდენიმე წელი გერმანიის ქალაქ მიუნხენშიც ცხოვრობდა და მალე გერმანიის სახალხო არტისტის წოდებაც მიიღო.

ფილმებში მონაწილეობის პარალელურად, სცენარებსაც წერდა. საქართველოში მსახიობი გადაღებულია ფილმებში: „ხევისბერი გოჩა“, „პალიასტომი“, „აბესალომ და ეთერი“, „ენგურის ნაპირებზე“.

ნუგზარ შარია 78 წლის ასაკში „ოსკარის“ თავმჯდომარედ აირჩიეს. მისი კანდიდატურა ამ პოსტზე რეჟისორმა სტივენ სპილბერგმა წარადგინა. მან განაცხადა, რომ ნუგზარ შარია უდავოდ მოიაზრება ბროდვეის ხელოვანთა ოცეულში.

ქართველი მსახიობის 80 წლის იუბილე ბროდვეიზე ჯოზეფინ ლევინის თეატრში აღნიშნეს. მრგვალი თარიღის აღნიშვნის ინიციატორი თეატრის დირექტორი ტედ მენი გახლდათ.

ნუგზარ შარიას გარდაცვალების შესახებ სამწუხარო ინფორმაცია მანანა სოტკილავამ გაავრცელა:

– გარდაიცვალა მეოცე საუკუნის დიდი ქართველი მამულიშვილი ნუგზარ შარია. იგი დიდი ქართველი იყო თვით ამერიკაშიც! ვუსამძიმრებთ მის სამშობლო – საქართველოს; წინაპრების საგვარეულო მხარეს – საბედიანოს; მის ოჯახსა და ერთადერთ ვაჟს – ზურაბ შარიას.

ბევრი საინტერესო გეგმა, ოცნება ჰქონდა... თან წაიღო აუხდენელი ოცნება აფხაზეთში დაბრუნებისა და წინაპრების საძვალის მონახულებისა. ქრისტე ღმერთის ნათელი გაჰყოლოდეს მარადისობის იმ სავანემდე, სადაც მართალნი და სამშობლოს რჩეული მამულიშვილები განისვენებენ.

ჩვენ წინაპრებიდან ვიყავით ახლობლები, ნათელმირონობით დაკავშირებული მოყვრები. სამურზაყანოს სოფელ თაგილონში საზოგადო კაცად ცნობილ და ჭკუასაკითხავ ერასტი შარიას ჩვენს ბაბუასთან, ასევე საკმაოდ დაფასებულ და ვაჟკაცობით განთქმულ გუთუ სოტკილავასთან მეგობრობის ნიშნად მოუნათლავს მისი პირმშო – ლავრენტი სოტკილავა. სკოლის დამთავრების შემდეგ მასვე მიუგვრია ყმაწვილი კაცი სოხუმში თავისი ხელით იმხანად უკვე ცნობილი მოღვაწის, თავისი ძის სპირიდონ შარიასთვის და ჩაუბარებია, როგორც უმცროსი ძმა...

შემდეგში ლავრენტი სოტკილავასა და ქსენია ქარჩავას ახლადშექმნილი ოჯახის მეჯვარეები ყოფილან სპირიდონ შარია და მისი ულამაზესი მეუღლე ვერა კუჭავა – „არაფერი სჯობდა ამ წყვილის, თავისი ჯიშ-მოდგმის, სილამაზის ყურებას“, – იხსენებდნენ ჩვენი ძველები...

ეს სამოყვრო სიყვარული შემდეგ თაობებშიც გაგრძელდა...

ხოლო ზურიკო სოტკილავას გარდაცვალებით სულშეძრული ნუგზარ შარია მაიამიდან ატირებული შემეხმიანა: „მე და ზურიკო ერთად გავიზარდეთ. ჩვენ ძმები ვიყავით. როგორ არ უნდა დავიტირო მე იგი. იციან მანდ, რა დიდი ქართველი გარდაეცვალა ქვეყანას“.

ხშირად ვეხმიანებოდით და ბევრ საინტერესოს ვუზიარებდით ერთმანეთს...

მახსოვს, წმინდა მოწამე დედოფალ ქეთევან წამებულზე ფილმს რომ იღებდა, საჭირო დოკუმენტური მასალების მოძიება მთხოვა. ხალისით დავთანხმდი. უწინარესად, გამოვეხმაურე ვრცელი წერილით, სადაც დეტალურად აღვწერდი იმას, თუ როგორ სწორად აღიქვა და ხედავდა ჩემი თაობა ნუგზარ შარიას, დაშტამპული აზროვნების მეთაურთაგან სამშობლოს მოღალატედ შერაცხულსა და მერე პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ გამართლებულს...

დიდად გაიხარა – ბედნიერი ვარ და არ მოველოდი, თუ თქვენი თაობა მოახერხებდა და შეძლებდა საბჭოეთის გონებრივი შტამპისგან თავის დაღწევას ჩემი ნაფიქრის მართლად გასაგებადო!

საბოლოოდ, ვეღარ გაუძლო მისმა სამშობლოს ტკივილებით დაფლეთილმა გულმა და სიმბოლურად იმ ქვეყანაში – გერმანიაში გაუჩერდა, საიდანაც დაიწყო ის ყოველივე.

მიდიან მისი თაობის საუკეთესო ქართველები და ძნელად საგუებელია დანატოვარი სიცარიელე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

5 დეკემბრისათვის

ვერძი – თუ დასახული მიზნის მიღწევა გსურთ, მთელი ძალების კონცენტრაცია დაგჭირდებათ. საყიდლებზე წასვლით კმაყოფილი დარჩებით. **კურო** – საქმეების მოგვარებაში მეგობრები დაიხმარეთ. დღის დევიზია სიმამაცე და ოპტიმიზმი. **ტყუპები** – მიენდეთ ინტუიციას, რომელიც დღეს განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ. რისკი გამართლებულია. **კირჩხიბი** – გავლენიანი მფარველის შემწეობით ყველა დაბრკოლებას გადალახავთ. ოჯახში მცირე კამათია მოსალოდნელი. **ლომი** – ძალზე იღბლიანი დღეა. ეს ეხება ფინანსებს, საყიდლებს, ყოფითი პრობლემების მოგვარებას. **ქალწული** – პარტნიორული ურთიერთობები აქტიურდება. ჩანაფიქრის რეალიზაციას მშვენივრად მოახერხებთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა. მეგობრული და საქმიანი ურთიერთობები თქვენთვის სასურველი კუთხით წარიმართება. **ღრიანკალი** – სამსახურში ხელმძღვანელობის შენიშვნები გაითვალისწინეთ. საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება თქვენვე დაგაზარალებთ. **მშვილდოსანი** – ზედმეტად ნუ იაქტიურებთ. მოვლენები ნებაზე მიუშვით. პლანეტები გმფარველობენ. **თხის რქა** – თქვენი აქტიურობა და მიზანდასახულობა უფროსობას შეუმჩნეველი არ დარჩება. ნებისმიერ საქმეს ბრწყინვალედ გაართმევთ თავს. **მერწყული** – იღბლიანი პერიოდი გრძელდება. ახალი იდეების რეალიზებაში თქვენი მომხიბვლელობა და კრეატიულობა დაგეხმარებათ. **თევზები** – ახლობლებთან ურთიერთობა რთულდება. ემოციური დაძაბულობის გამო, შესაძლოა, გარშემომყოფნი უნებურად გაანაწყენოთ. ვარსკვლავები თავშეკავებას გირჩევენ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოხსვოხდი ↘



შვეულად: 1. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 2. დაბალი ხარისხის თამბაქო; 3. თაღლითი, რომელიც რაიმე საქმის სპეციალისტად ასაღებს თავს; 4. საავტომობილო ძრავის შიგა, ცილინდრული მოძრავი ნაწილი; 5. ფეოდალი მთავრების სახელწოდება შუა საუკუნეების საქართველოში; 8. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი; 9. წერილობითი ხელშეკრულება; 12. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 14. მწვანით მოსილი, წყლიანი ადგილი უდაბნოში; 16. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება.

თარაზულად: 1. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 6. ავადმყოფური, ღრმა ძილის მდგომარეობა; 7. კიბერნეტიკის ერთ-ერთი დარგი; 9. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ყველაზე ღრმა ტბა საქართველოში; 11. ქართული ძილისპირული; 13. ქიმიური ელემენტი, აირი; 15. ქართული მულტიპლიკაციის ფუძემდებელი; 17. წითელი ფერის ძველებური სახელწოდება; 18. საქართველოში მოღვაწე მე-20 საუკუნის ჩეხი ლოტბარი; 19. ბულგარეთის პირველი დედაქალაქი; 20. ერთწლიანი მარცვლეული მცენარე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა